# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 17 მარტი 2007 №59 (2982) ფასი 50 თეთრი

# ფორსმაჟორიტარი



## უიღბლოები პარლამენტს რომ ირჩევდნენ, ტოპი სიაში ნომერი 1 კანდიდატი იქნებოდა

## ნაკრები კვლავაც უკრებია!

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ეროვნული გუნდის უახლოეს ორ შესარჩევ მატჩს გამოტოვებს — ეს ინფორმაცია გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა.

კალაძემ, რომელმაც აქილევსის მყესები ჯერ კიდევ დეკემბერში დაიზიანა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „სელტიკი" — „მილანის" მატჩისას გაიმიზეზა ტრავმა და ორი კვირაა, ისევ მკურნალობს.

„მილანის" მცველი „სელტიკთან" შეხვედრის შემდეგ იმედოვნებდა, რომ ათ დღეში მომჯობინდებოდა და თამაშს განაახლებდა, მაგრამ, ჩანს, რეციდივი მოსალოდნელზე მძიმე გამოდგა. კახას, ცხადია, არც „სელტიკთან" საპასუხო შეხვედრაში უთამაშია და მოედანზე დღემდე არ დაბრუნებულა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა შოტლანდია-ფარერებისთვის 22-კაციანი შემადგენლობა ერთი კვირის წინ გამოაცხადა და მაშინ ვწერდით, როგორც იქნა, ტოპმიოლერს თითქმის უძლიერესი შემადგენლობის გამოძახების საშუალება მიეცაო, თუმცა როგორ იქნებოდა, ტოპმიოლერს ფეხბურთელი არ მოჰკლებოდა?!

ჰოდა, აგერ — კალაძე კალაძედ და, შოტლანდია-ფარერებთან ვერც ოთარ ხიზანეიშვილი ითამაშებს.

„ფრაიბურგის" ვებგვერდი ხიზანეიშვილის ტრავმაზე ვარაუდით წერდა, არ ვიცით, რა დონის ტრავმაა, ყველაფერს გამოკვლევა დაადგენსო, ჰოდა, გაირკვა კიდეც — გუშინ ხიზანეიშვილმა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და სამი-ოთხი კვირით მოუწევს უქმობა.

ასეა თუ ისე, მალხაზ ასათიანის და ჯაბა კანკავას შემდეგ, რომელთა უთამაშებლობა წინასწარვე იყო ცნობილი, ტოპმიოლერმა კიდევ ორი ფეხბურთელი, ორივე მცველი მოისაკლისა.

მატჩამდე კი კიდევ ერთი კვირაა და, როგორც ფეხბურთის ფედერაციაში თქვეს, ტოპმიოლერი შემცვლელთა გამოძახებას აპირებს.

ცნობისთვის: ნაკრების მწვრთნელები შოტლანდიაში ზეგ მიემგზავრებიან, ხოლო გუნდი გლაზგოში სამშაბათს შეიკრიბება და იმ დღესვე, ადგილობრივი დროით 16 საათზე ივარჯიშებს.

**ძობა ინასარიძე**
**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ბოლო სტრიქონები უეფას რვეულში შოთას წილი ვერდერია

ბოლოს უეფას თასი ზედიზედ ორჯერ 1985-86 წლებში მადრიდის „რეალმა" მოიგო. „სევილიას" დიდ თანამემამულეთა შედეგის გასამეორებლად ჯერჯერობით მეოთხედფინალში ლონდონის „ტოტენჰემის" დამარცხება სჭირდება, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება — გუშინ გლაზგოში გამართულმა კენჭისყრამ შეჯიბრებას შემორჩენილი 8 გუნდი ოთხ წყვილად დაჰყო.

კენჭისყრა ყოველგვარი განთესვისგან თავისუფალი იყო და გაირკვა ნახევარფინალის ბადეც, მაგრამ სანამ ამაზე მოგახსენებთ, მეოთხედფინალის ამბები ამოვწუროთ: შოთა არველაძის „ალკმაარს" ბრემენის „ვერდერი" ხვდა, „ლევერკუზენს" — „ოსასუნა", „ესპანიოლს" — „ბენფიკა".

ნახევარფინალში კი „ალკმაარ" — „ვერდერის" გამარჯვებულს „ესპანიოლ" — „ბენფიკას" შორის უკეთესი შეხვდება.

შესაბამისად შედგება მეორე წყვილიც. ფინალი 16 მაისს „ჰემპდენ პარკზეა".

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური. 17 მარტი. მადრიდი

# ესპანეთი VS საქართველო

# ლომი თავის წილს მოითხოვს



დღეს მადრიდში საქართველოს ნაკრები თავის მეორე საერთათასო მატჩს გამართავს ესპანეთთან.

„ლელოები" და ესპანელი „ლომები" ექვსჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ბალანსი აშკარად საჩვენოა: ოთხი მოგება, ერთი ფრე და ერთი მარცხი.

საქართველოს ნაკრები უკვე გასულია მსოფლიოს თასზე და სადღეისო მატჩიც მორიგი გასეირნება იქნებოდა, რომ არა ჩვენების მასობრივი ტრავმიანობა. მადრიდში „ლელოები" ძირითადი შემადგენლობის თორმეტი წევრის გარეშე ჩავიდნენ და, შეიძლება ითქვას, მესამე შემადგენლობით ითამაშებენ.

უკვე ერთი კვირაა, ჩვენები მადრიდში არიან და ჩვენც იქ დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი გვენეტაძეს: „ძალიან კარგი და ნაყოფიერი შეკრება გამოვიდა. ყველანაირი პირობა გვქონდა სრულფასოვანი მზადებისთვის, თანაც მატჩის ადგილზე შეკრებას თავისი უპირატესობა აქვს — ბიჭებმა ადაპტაცია მოასწრეს. რაც შეეხება შეხვედრას, მართალია, ესპანეთი ჩვენზე გაცილებით სუსტია, მაგრამ შინ თამაშობს, ჩვენ კი ლამის მესამე შემადგენლობით ვართ. ამის მიუხედავად, მჯერა, მოვიგებთ".

| ძირითადი | |
|---|---|
| 15 | გიორგი ელიზბარაშვილი |
| 14 | ოთარ ელოშვილი |
| 13 | დავით კაჭარავა |
| 12 | ირაკლი გიორგაძე |
| 11 | გიორგი შკინინი |
| 10 | მერაბ კვირიკაშვილი |
| 9 | ბიძინა სამხარაძე |
| 8 | დავით ბოლღაშვილი |
| 7 | სანდრო მჭედლიშვილი |
| 6 | ილია მაისურაძე |
| 5 | ვიქტორ დიდებულიძე (კაპ) |
| 4 | მამუკა გორგოძე |
| 3 | დავით აშვეთია |
| 2 | რევაზ ბელქანია |
| 1 | ავთანდილ კოპალიანი |
| სათადარიგოები | |
| 16 | დავით დადუნაშვილი |
| 17 | გიორგი ჟღენტი |
| 18 | გიორგი ნემსაძე |
| 19 | შალვა პაპაშვილი |
| 20 | გიორგი კაჭარავა |
| 21 | ირაკლი ჩხიკვაძე |
| 22 | დავით გურგენიძე |

# გლაზგო

## ერთი გუნდით ჰემპდენ პარკზე



**24 მარტი და შოტლანდია — საქართველო ახლოვდება. იშვიათად, რომ „ჰემპდენ პარკზე“ ანშლაგი არ იყოს — 24-შიც ასე იქნება, ყველა ბილეთი გაყიდულია და, ცხადია, სქოთებს გულშემატკივართა მხრივ სერიოზული უპირატესობა ექნებათ.**

**... მაგრამ „ჰემპდენ პარკზე“ ქართველებიც ისხდებიან. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ტურისტული სააგენტო „GFF-TRAVEL“-ის ხელმძღვანელმა სოფო თავართქილაძემ პრესკონფერენცია გამართეს, სადაც გლაზგოურ მატჩზე ქართველი გულშემატკივრების გამგზავრების საკითხზე ისაუბრეს.**

*ნოდარ ახალკაცი:* „GFF-TRAVEL“ ქართველი ქომაგების გასვლით თამაშზე ორგანიზებულად წაყვანას კურირებს. პირველი ასეთი გასვლა სწორედ გლაზგოში იქნება. დევიზი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ მხოლოდ ფეხბურთელთა ერთად შეკვრას არ გულისხმობს — გულშემატკივრებიც მათთან ერთად უნდა იყვნენ. მადლობას ვუხდით ბრიტანეთის საკონსულოს, რომელმაც სავიზო თუ სხვა საკითხები უპრობლემოდ მოგვიგვარა.

*სოფო თავართქილაძე:* 21 მარტს დაახლოებით 80 გულშემატკივარი თბილისი-ლონდონი-გლაზგოს ავიარეისით გაემგზავრება. ყველა მათგანი უზრუნველყოფილია ბილეთებით, სასტუმროთი... დიდ ბოდიშს ვუხდი მათ, ვინც გლაზგოში წამსვლელთა სიაში ვერ მოხვდნენ. სამაგიეროდ, წინ გვაქვს საფრანგეთში, ლიტვაში და იტალიაში გასვლები.

**— ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, უშუალოდ ბრიტანეთში მცხოვრები რამდენი ქართველი დაესწრება მატჩს?**

*ახალკაცი:* ჩვენ ინტერნეტით შევეცადეთ ამ ინფორმაციის მიღება. სამწუხაროდ, ყველა მათგანის ბილეთებით დაკმაყოფილება ვერ მოვახერხეთ, თუმც საშუალოდ 200 კაცამდე ქართველი მაინც შეგროვდება „ჰემპდენ პარკზე“, მათ შორის, არა მხოლოდ ბრიტანეთში მცხოვრებნი.

— ნაკრები სრულად როდის შეიკრიბება? რომელიმე ფეხბურთელს ხომ არ დააგვიანდება ფეხბურთელს ჩასვლა?

— დროულად ჩასვლის მხრივ პრობლემა არ იქნება. სამშაბათს ნაკრები უკვე სრული შემადგენლობით იქნება, 20 მარტს გლაზგოში პირველი ვარჯიშიც გაიმართება. 23 მარტს „ჰემპდენ პარკზე“ იქაური დროით 15 საათზე ივარჯიშებს ნაკრები — ანუ ზუსტად იმ დროს, მეორე დღეს თამაში რომ ექნებათ. სამწუხაროდ, შოტლანდიასთან და ფარერებთან მატჩში კახა კალაძე ვერ ითამაშებს, მას ჯანმრთელობა არ აძლევს ამის საშუალებას. გუშინ კი შოთა არველაძისა და „ალკმაარის“ მშვენიერი თამაშით მოვიხიბლეთ, თანაც შოთამ ბრიტანულ გუნდთან გამოიჩინა თავი და იმედია, 24 მარტსაც გააგრძელებს წარმატებულ სვლას.

სოფო თავართქილაძემ გვითხრა, „ჰემპდენ პარკზე“ ჩვენი გულშემატკივრები საქართველოს ნაკრების მაისურებით და შარფებით იქნებიან გამოწყობილნიო.

პრესკონფერენციაზე ცნობილი საფეხბურთო წიგნების ავტორმა დემიკო ლოლაძემ და სტაჟიანმა გულშემატკივარმა გოგი დემეტრაძემ ქართველებისა და შოტლანდიელების ძველი შეხვედრები გაიხსენეს. 1982 წლის მუნდიალზე საბჭოთა კავშირი-შოტლანდიის მატჩი 2:2 რომ დასრულდა, ბრიტანელებს ორივე გოლი ჩვენიანებმა — რამაზ შენგელიამ და ალექსანდრე ჩივაძემ გაუტანეს...

**ილია ნანოგაშვილი**

# ჰაინცის, ჰერბერტის და პეტარის დავთრები

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები მაისში ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში ითამაშებს, შოტლანდიასთან, პორტუგალიასთან და თურქეთთან. ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი ამ ტურნირის წინ მარტის ბოლოს შეკრებას გერმანია-ლუქსემბურგში გაივლის, სადაც სამი ამხანაგური შეხვედრაცაა დაგეგმილი.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები 19 მარტს გერმანიის ქალაქ კობლენცში დაბინავდება, 21-ში ამავე ქვეყნის თანატოლებს გაეჯიბრება, 25-ში კი „ვიქტორია როსპორტს“. შემდეგ ნაკრები ლუქსემბურგში გადაინაცვლებს და იქაურ თანატოლებს შეხვდება.

ჰაინც ტოპმიოლერი შეკრებაზე 18 ფეხბურთელს იახლებს:

*მეკარეები:* *რევაზ თევდორაძე (დილა), გიორგი მაკარიძე (დინამო)*

*მცველები:* *დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია (ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ამირან სანაია, გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ლაშა თოთაძე (ვაგრა)*

*ნახევარმცველები:* *ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), მირზა ბჟალავა (აუსტრია ლუშტენაუ, ავსტრია), გიორგი განუგრავა (უგუნდოდ), ნიკოლოზ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი), დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), ლევან ყენია (ლოკომოტივი)*

*თავდამსხმელები:* *ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ლევან ბლაგიძე (ვიტორია გიმარაეში, პორტუგალია)*

20-27 მარტს კი თურქულ შეკრებაზე გადავა 21-წლამდელთა ნაკრები, რომლის თავკაცმა პეტარ სეგრტიმ ასეთ შემადგენლობას მოუყარა თავი:

*მეკარეები:* *როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი ლორია (დინამო), ირაკლი დგებუაძე (ოლიმპი)*

*მცველები:* *გურამ კაშია (დინამო), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), აკაკი ხუბუტია (კაუნასი, ლიტვა), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გიორგი ელბაქიძე (ამერი), ლერი ხოხონიშვილი (ოლიმპი)*

*ნახევარმცველები:* *ვახტანგ ხორგუაშვილი (შერიფი, მოლდოვა), ალექსანდრე კობახიძე, ირაკლი ჩირიკაშვილი, გიორგი მერებაშვილი (დინამო), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), ბექა ჟღენტი (ტორპედო, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), კახა მახარაძე (საჩხერე)*

*თავდამსხმელები:* *გიორგი ჭელიძე (ზარია, უკრაინა), ვლადიმერ დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), ვახტანგ ფანცხავა (ვაგრა), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი).*

ცოტა შორს მიმავალი გეგმები აქვთ ჰერბერტ ცანკერის 17-წლამდელებს. ნაკრები ოთხ ამხანაგურ მატჩს გეგმავს რუს თანატოლებთან. 27 და 29 ივლისს ჩვენი ჭაბუკები მოსკოვში ორჯერ ითამაშებენ რუს თანატოლებთან, შინ კი მათ 4 და 8 ნოემბერს შეხვდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



**24 მარტის** შოტლანდია — საქართველოს წინა დღეს კლაუს ტოპმიოლერი ჩვენს ეროვნულ გუნდს „ჰემპდენზე“ კი ავარჯიშებს, მაგრამ 20-დან 23 მარტამდე რომელ მოედანზე მოამზადებს საქართველოს ნაკრებს, ჯერაც გაურკვეველია.

ადრეც გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრებს სავარჯიშოდ უკვე შეგულებული აქვს გლაზგოს ერთი მოედანი, თუმც ტოპმიოლერის სურვილია, 23 მარტამდე გუნდმა „გლაზგო რეინჯერსის“ ბაზაზე ივარჯიშოს. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ მოლაპარაკება აიბროქსელებთან დასრულდა — „რეინჯერსი“ თანახმაა, საქართველოს ნაკრებმა მის ბაზაზე ივარჯიშოს, ოღონდ ერთი პირობით — თუ გაავდრდა, ეს საქმე არ გამოვა, რადგან მინდორი ატალახდება.

გლაზგოში ახლა ნალექიანი ამინდებია და რეინჯერსელებმაც ალბათ ამიტომ წამოაყენეს ასეთი პირობა.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველოს რეინჯერსმა ნალექზე ჰკიდია

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXXIX ტური
საუთჰემპტონი 1:2 კოლჩესტერი
I ლიგა. XXXVIII ტური
სუონსი 2:0 ჩესტერფილდი
II ლიგა. XXXVIII ტური
ჩესტერი 0:1 როჩდეილი
შრიუსბერი 2:1 პიტერბრო

### გერმანია

ბუნდესლიგა. XXVI ტური
ჰერტა 0:1 კოტბუსი
II ბუნდესლიგა. XXVI ტური
კარლსრუე 1:3 ესენი
კობლენცი 0:0 კარლ ცაისი
მიუნხენი 0:3 აუგსბურგი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXV ტური
ზანქტ პაული 2:0 ვოლფსბურგი (მ)
სამხრეთ რეგიონალლიგა XXIV ტური
როიტლინგენი 2:0 ზიგენი
ელვერსბერგი 1:0 კარლსრუე (მ)
ჰოფენჰაიმი 2:0 ლაუტერნი (მ)

### ავსტრია

I დივიზიონი. XXI ტური
ადმირა 1:1 გრატკორნი
ლუსტენაუ 0:2 აუსტრია (მ)
ჰარტბერგი 1:0 პარნდორფი
კაპფენბერგი 2:2 ლინცერი
კერნტენი 2:1 აუსტრია (ლ)
შვანენშტადტი 3:0 ლეობენი

### იტალია

სერია B. XXIX ტური
ბოლონია 1:1 მანტოვა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIX ტური
აიაჩო 1:1 გენიონი
ამიენი 2:0 ბრესტი
შატორუ 1:2 ბასტია
გენგამი 2:1 ლიბურნი
ლე ავრი 1:0 ისტრი
მონპელიე 1:2 კაენი
ნიორი 2:1 დიჟონი
ტურსი 0:0 რეიმსი
კრეტეი 1:1 მეცი

### ბელგია

იუპილერლიგა. XXVI ტური
ბეერსხოტი 1:2 ლოკერენი

### სლოვაკეთი

I ლიგა. პლეი ოფი III ტური
სენეცი 0:4 რუჟომბეროკი

### ირლანდია

პრემიერლიგა. II ტური
ბრეი 1:0 ბოჰემიანსი
დროჰედა 3:2 დუბლინი
სენტ პატრიკსი 3:0 უოტერფორდი
კორკი 0:0 გალვეი
შემროკი 2:0 ლონგფორდი

### ფინეთი

ლიგის თასი. VI ტური
კტპ 4:0 ჰონკა
მიუპა 0:0 ლაჰტი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXII ტური
კონკორდია 4:1 იუვენტუსი
ძსამაძსი 3:1 დელემონი

### პოლონეთი

I ლიგა. XVIII ტური
ლოძი 0:0 ვიძევი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XX ტური
ჰონვედი 2:1 დებრეცენი

### რუმინეთი

I ლიგა. XXIII ტური
პანდურიი 2:1 ოცელული
ჩაჰლაული 0:0 ფარული

### ბულგარეთი

ვიშა ლიგა. XVIII ტური
ჩერნომორეცი 1:4 მარეკი
ლოკომოტივი 5:0 როდოპა

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIX ტური
ვალვაიკი 3:2 როდა
II დივიზიონი. XXXII ტური
აპელდორნი 0:2 ტელსტარი
კამბური 0:0 ჰელმონდი
ეინდჰოვენი 0:2 სიტარდი
ალმერე 2:7 ზვოლე
ვოლენდამი 1:1 როზენდალი
იგლსი 0:1 ვენლო
ჰაარლემი 0:3 გრააფსხაპი
მაასტრიხტი 1:1 დორდრეხტი
ოსი 4:0 ემენი
ვეენდამი 0:2 დენ ბოსხი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXII ტური
ნასიონალი 2:0 ბოავიშტა

### თურქეთი

სუპერლიგა. XXV ტური
ძონია 2:2 გალათასარაი

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა — II წრე. 17 ტური

# ტურის ზემატჩი ზესტაფონშია



პირველი წრის „ვიტ ჯორჯია" — „ზესტაფონი" დინამიკით კარგად გაჯერდა

**წლეულს** მართლაც არნახულად დაძაბული ფინიში ელის ეროვნულ ჩემპიონატს. არაა გამორიცხული, ბოლო ტურებს წინ ხუთ გუნდს ჰქონდეს ჩემპიონობის შანსი — ეს ძალიან იშვიათი რამაა, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ტურის ცენტრალურ თამაშს ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება. „ზესტაფონს" ამ სეზონში ერთადერთი მარცხი სწორედ „ვიტ ჯორჯიამ" აგემა და იქიდან მოყოლებული, ფეროელებმა 10 მატჩი გოლგაუშვებლად ჩაატარეს.

თემურ მახარაძემ წინა ტურში „ოლიმპთან" ზურაბ იონანიძე არ ათამაშა და საინტერესოა, დღეს მაინც თუ დააყენებს ძირითადში. პირველ წრეში ფეროელები გოგი ფიფიასა და „იონას" დუეტით თავსატეხს არ აკლებდნენ მეტოქეებს, ბოლო მატჩებში კი მახარაძე გაგა ჩხეტიანს ენდობა და ეს ფორვარდიც ჯერჯერობით უმართლებს.

ვიტელები მეოთხე ადგილზე არიან და ერთი ქულით ჩამორჩებიან ფეროელებს. „მწვანეების" მთავარი დამრტყმელი ძალა ნიკა გელაშვილია, ვინაც 9 გოლით ლიდერობს ბომბარდირთა სიას — ისე, „ვიტ ჯორჯიას" სხვა ფეხბურთელიც ჰყავს, გადამწყვეტ მომენტში თამაშის გარდატეხა რომ შეუძლიათ, თუნდაც გიორგი და პაატა დათუნაიშვილები.

საპარაუდო შემადგენლობები

*ზესტაფონი: პანტურია — სიჯაია, შ. ლობჟანიძე, თოდუა, ქ. ჩხეტიანი — ნ. კვასხვაძე, რ. ონიანი, მ. ნოზაძე, ჟიჟირია — ფიფია, იონანიძე*

*ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი — პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე — გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კვარიანიძე — სიხოკია, გ. მელქაძე, გელაშვილი*

სხვა დრო იყო, „ტორპედო" — „დინამო" ტურის კი არა, ჩემპიონატის კლასიკოდ რომ ითვლებოდა. ქუთაითურები საჩემპიონო ამბიციებით ვეღარ ფუფუნებენ, კლუბში სულ გაურკვევლობაა ინვესტორთან დაკავშირებით, რაც გუნდის თამაშზეც მოქმედებს. თანაც „ტორპედოს" არ ჰყავს ისეთი შემადგენლობა, მაღალ მიზნებზე რომ იფიქროს.

„დინამო" კი კარგ ხასიათზე ჩავა ქუთაისში, რაკიღა წინა ტურში „ამერის" ძლევით მეორე ადგილზე გადავიდა. დუშან უჰრინის გუნდი პირველ წრესთან შედარებით მოღონიერებულია, განსაკუთრებით კარგ ფორმაში არიან სანდრო კობახიძე და სანდრო იაშვილი, „ვიტ ჯორჯიიდან" გადაყვანილი დავით დიღმელაშვილიც თამაშიდან თამაშამდე უმატებს.

ისე, „დინამო" ფხიზლად უნდა იყოს: ჯერ ერთი, „ტორპედო" მთლად ბეჩავიც არაა და მეორეც, ქუთაისში თამაში ყოველთვის უძნელდება, თანაც პირველ წრეში იმერლებთან შინ 0:1 წააგო.

ამერელთა თავკაცი გიორგი ჩიხრაძე დისკვალიფიკაციის გამო ოთხ ფეხბურთელს მოისაკლისებს, მაგრამ „დილასთან" ვერმოგების უფლება არ აქვს. „დინამოსთან" წაგებამ გლდანელებს ისედაც გაურთულა საჩემპიონო გზა. ეგაა, ერთი თვეა, „ამერს" მოსვენება არ აქვს — ხუმრობა როდია, მარტო „დინამოს" სამჯერ შეხვდა ამ პერიოდში. მოკლედ, შეიძლება, „დილას" შანსი მეტოქის შესუსტებული შემადგენლობა იყოს.

„ბათუმი" 500-მდე კილომეტრს ალბათ იმისთვის არ დაფარავს, რომ სამი ქულა ხონჩასავით დაუტოვოს მასპინძელს. ზღვისპირელები წლეულს ყოჩაღად გამოიყურებიან, გასავარდნ ზონას 13 ქულით ასცდნენ და თასის ნახევარფინალშიც გავიდნენ. სათასო კვარტეტს „სიონიც" შემორჩა — მართალია, ეს ორივე გუნდი ნახევარფინალურ წყვილებში ფავორიტად არ ითვლება, მაგრამ, მათ სწორედ თასზე აქვთ აქცენტი გადატანილი.

ორივე გუნდს 16 ქულა აქვს და მთავარ მიზანს, უმაღლესში დარჩენას თითქმის მიაღწიეს. „მერანი" ცოტა უცნაური გუნდია, სტუმრად გაცილებით უკეთ თამაშობს და იგივე „ბორჯომს" პირველ წრეში 4:3 სძლია.

კონკილაქულიანი „კახეთი" ჯერაც ხიფათში მყოფ „ჩიხურასთან" ეცდება მოგებას, მაგრამ საჩხერელები შემადგენლობითაც და თამაშითაც კახელებზე მაღლა დგანან.

**ილია ნანობაშვილი**

თბილისი. 17 მარტი. 15 საათი. „მევარდენი"

**მერანი — ბორჯომი**

მსაჯები: დ. სანაია; მ. ელიკაშვილი, ი. ურუშაძე; კ. ქაჩუა

ბოლნისი. 17 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — ბათუმი**

მსაჯები: ო. ხეცაძე; გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე; ვ. გუმბერიძე

თელავი. 17 მარტი. 15 საათი. გივი ჩოხელი

**კახეთი — ჩიხურა**

მსაჯები: მ. მაისურაძე; ა. გუნთაძე, ო. მოლოდინაშვილი; ზვ. ასკაროლლი

ზესტაფონი. 17 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. მენთეშაშვილი, ზვ. ერქვანია; ვ. ელისბედაშვილი

თბილისი. 17 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი

**ლოკომოტივი — ოლიმპი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ლ. მიქელაძე, ი. კაკაბაძე; გ. კიკაჩეიშვილი

თბილისი. 17 მარტი. 15 საათი. ამერი

**ამერი — დილა**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. ჯვარიძე, ს. სპიცინი; ა. ნონიკაშვილი

ქუთაისი. 17 მარტი. 15 საათი. ტორპედო

**ტორპედო — დინამო**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; მ. ურუშაძე, კ. გუდურაშვილი; ხ. გაგნიძე

## დისკვალიფიცირებულნი

**ბათუმი**: ბეგლარ თედორაძე; **ჩიხურა**: კახა მახარაძე; **დინამო**: ილია სპასოევიჩი; **ამერი**: რატი წინამძღვრიშვილი, გივი დიდავა, მიხეილ მესხი, დენის დობროვოლსკი; **დილა**: დავით ხანიშვილი, ირაკლი კობახიძე; **ლოკომოტივი**: ირაკლი მალიჩავა; **მერანი**: კახა თურქია, ამირან კედელაშვილი, დავით აბშილავა; **ვიტ ჯორჯია**: მამუკა მენთეშაშვილი




საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სარბიელი


**17 მარტი, მე-17 ტური**

| | | |
|---|---|---|
| მერანი | – | ბორჯომი |
| ლოკომოტივი | – | ოლიმპი |
| ზესტაფონი | – | ვიტ ჯორჯია |
| კახეთი | – | ჩიხურა |
| სიონი | – | ბათუმი |
| ტორპედო | – | დინამო |
| ამერი | – | დილა |
| გაგრა | – | მესხეთი |
| დინამო 2 | – | ამერი 2 |
| ფრაიბურგი | – | კაიზერსლაუტერნი |
| აუე | – | კიკერსი |

# დაუგავას მოგზაურობა საქართველოში

ლეონიდ დვორნიაკი, ვიქტორ გრევნიკოვი, იური აზაროვი, სერგეი პიცეხოვსკი, ვლადიმერ როგკოვი... გეუბნებათ რამეს ეს გვარები? ამ ფეხბურთელებს, გუშინ ვაკეში თბილისის „დინამოს" ვეტერანებს რომ გაეჯიბრნენ, თავის დროზე რიგის „დაუგავაში" უთამაშიათ.

მეგობრული თამაში „დაუგავას" უპირატესობით დაიწყო და ლატვიელები მალევე დაწინაურდნენ, გამთანაბრებელი კი გია ფირცხალავამ გაიტანა გრიგოლ ცაავას პასით.

მეორე ტაიმში დინამოელთაგან საუკეთესო მიხეილ ჯიშკარიანი იყო. მან ჯერ ცაავას პასით გაიტანა, შემდეგ კი პენალტი მოინადავლა, რომელიც ოთარ კორღალიძემ შეასრულა — 3:1.

*ვოლდემარ ბრაუნი, „დაუგავას"* ვეტერანთა გუნდის მწვრთნელი: ჩვენ ძალიან ხშირად ვმოგზაურობთ, ვიყავით ყაზახეთში, შვედეთში, ფინეთში და გადავწყვიტეთ, საქართველოშიც ჩამოვსულიყავით.

*კახა ჟვანია, „დინამოს"* ვეტერანთა გუნდის მწვრთნელი: ძალიან უცებ და მოულოდნელად მოხდა ყველაფერი. ფედერაციაში მატჩის წინა დღეს დარეკეს, „დაუგავა" ჩამოდისო, საუცბათოდ შევიკრიბეთ და ვითამაშეთ.

„დინამოს" ვეტერანებმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: ოთარ გაბელია, მურთაზ შელია, კახა ცხადაძე, გოჩა ჩიქოვანი, გოჩა ჯოხაძე, გია ფირცხალავა, ოთარ კორღალიძე, გრიგოლ ცაავა, ლევან ნოდია, მიხეილ ჯიშკარიანი, გოჩა ჯამარაული.



თბილისის „დინამოს" და ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი მურთაზ შელია გუშინ შეტევებშიც ერთვებოდა

„დინამოს" და „დაუგავას" ვეტერანები ხელმეორედ 18 მარტს ითამაშებენ ბოლნისში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვამაყობ, რომ მილანში ქართულ ფეხბურთს წარმოვადგენ

## კახა კალაძე ინტერს საფერავით ან წინანდალით დაათრობს

რუსულ „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტები კახა კალაძეს მილანში ეწვივნენ და გვარიანად მოზრდილი ინტერვიუც გამოუვიდათ, ჩვენ კი შემოკლებულ ვარიანტს გთავაზობთ



**— თქვენ „იუვენტუსში“ და „ჩელსიში“ თამაშის შანსი გქონდათ...**

— დიახ. ორი წლის წინ „ჩელსიში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო. არაერთხელ შევხვდი რომან აბრამოვიჩს და ჟოზე მაურინიუს. ორივე მეუბნებოდა, რომ მათი გუნდისთვის სასურველი ფეხბურთელი ვარ. აბრამოვიჩმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მივხვდი, რომ ეს კაცი ფეხბურთით დაავადებულია. „მილანში“ მაშინ კონტრაქტით ერთი წელი მქონდა დარჩენილი და კლუბები ბოლო მომენტში რაღაცაზე ვერ მორიგდნენ. საბოლოოდ ლონდონელებმა „ბილბაოდან“ ასიერ დელ ორნო წაიყვანეს. ახლა კი მიხარია, რომ „ჩელსიში“ არ გადავედი.

**— რატომ?**

— „მილანში“ ვითარება ჩემს სასარგებლოდ შეიცვალა. არადა, მანამდე თვითონ მსურდა „ჩელსიში“ წასვლა, ისევე როგორც მოგვიანებით შევჩენკოს. საქმე ისაა, რომ მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ ცოტას მათამაშებდნენ და უკმაყოფილო ვიყავი. მერე კი ყველაფერი მოგვარდა. როცა უკვე კლუბში შვიდი წელი თამაშობ, იცი, როგორ პატივს გცემენ თანაგუნდელები, ხელმძღვანელები, ქომაგები. თან „მილანის“ კაპიტნის სამკლავურს რომ მოირგებ...

**— რამდენჯერ უკაპიტნეთ?**

— ოთხ თუ ხუთ მატჩში. პირველად გასულ სეზონში, როცა მალდინი დაშავდა. პირველი ვიცეკაპიტანი შევჩენკო იყო, მაგრამ თამაშის დროს შეცვალეს და სამკლავური მე გადმომცა.

**— კარლო ანჩელოტი როგორ შეხვდა ამ ამბავს?**

— „მილანში“ წესია, რომ მოედანზე მყოფი ფეხბურთელებიდან კაპიტანი ის უნდა იყოს, ვისაც ყველაზე მეტი მატჩი აქვს ნათამაშები და სამკლავურიც ავტომატურად მერგო. ეს ძალიან დიდი პატივია ჩემთვის.

**— იმ მომენტში თუ იგრძენით, რომ კარიერაში რაღაც დიდს მიაღწიეთ?**

— რა თქმა უნდა. „მილანის“ კაპიტნობა ყველას ხვედრი არაა, თუნდაც ერთი მატჩით.

**— „ინტერში“ გადასვლის თეორიული შანსი გქონდათ?**

— არ ვიცი, რა უნდა შემომთავაზოს „ინტერმა“ ისეთი, რომ „მილანი“ მივატოვო. ეს გუნდი ჩემი სახლია. რვა წლის განმავლობაში ყველაფერი მოვიგე: ჩემპიონთა ლიგა, სკუდეტო, ევროპის სუპერთასი. აქ თავს კარგად ვგრძნობ და ხელფასიც კარგი მაქვს. ორ კვირაში ერთხელ, ხან ორჯერაც, ჩემი აზრით მსოფლიოს ულამაზეს სტადიონ „სან სიროზე“ ვთამაშობ. ეს ჩემთვის იგივეა, რაც ოპერის მოყვარულებისთვის „ლა სკალა“. ვერც ერთი ახალი სტადიონი, „ბაიარენა“ თუ „აუფ შალკე“ ვერ შეედრება „სან სიროს“.

**— იტალიის გარდა სხვა ქვეყანაში ცხოვრების სურვილი არ გაქვთ?**

— ვნახოთ. ეგებ ოდესმე მომინდეს კიდეც, მაგრამ ამჟამად არა.

**— ინგლისური იცით?**

— ცოტა. ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს ინგლისურად ველაპარაკები.

**— გერმანელთან ერთად თქვენი ნაკრები წინ წაიწევს?**

— ტოპმიოლერი კარგი სპეციალისტია. მან ტაქტიკურადაც გაანათლა გუნდი და დისციპლინაც დაამყარა, რაც ქართველებს ყოველთვის აკლდათ. პრობლემა მწვრთნელში კი არა, ფეხბურთელებშია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, ბავშვთა ფეხბურთი ჩაკვდა. ამიტომ 90-იან წლებში თაობა არ წამოვიდა. ვინც კი თავი გამოიჩინა, ძველი სკოლის აღზრდილები იყვნენ. ბავშვთა ფეხბურთში ნელ-ნელა პრობლემები მოგვარდება, ყველაფერს ხომ დრო სჭირდება.

**— ამბობენ, რომ თბილისში საფეხბურთო სკოლის გახსნას აპირებთ...**

— ნამდვილად ასეა. სკოლა იქნება თანამედროვე, ოთხი მოედნით, აუზით, ჩოგბურთის კორტებით.

**— რომელი რუსული კლუბი მოგწონთ? თუ ბავშვობაში მხოლოდ თბილისის „დინამოს“ ქომაგობდით...**

— რა თქმა უნდა, „დინამოს“ ვგულშემატკივრობდი. მომწონდა კიევის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკიც“.

**— რუსეთში მოთამაშე ქართველებიდან ვისთან ურთიერთობთ ხშირად?**

— მალხაზ ასათიანთან. ძალიან ნიჭიერია და ვფიქრობ, რომ უკეთეს გუნდში და ჩემპიონატში თამაშს იმსახურებს.

**— რუსი მწვრთნელებიდან ვის გამოარჩევთ?**

— ვალერი გაზაევს. თავის საქმის საუცხოოდ მცოდნეა. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ერთადერთი მწვრთნელია, ვინც უეფას თასი მოიგო.

**— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე რას იტყვით?**

— პოლიტიკამ ხალხი არ უნდა შეიწიროს. ის, რაც რუსეთში მცხოვრებ ქართველებს გაუკეთეს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ცუდი იყო. რუსი და ქართველი ხალხი დიდი ხანია, მეგობრობს და არაა სასიამოვნო, მათი წაჩხუბების მცდელობას რომ ვხედავ. მადლობა ღმერთს, ნელ-ნელა უკეთესობა შეიმჩნევა.

**— კიევის „დინამოდან“ „მილანში“ ხომ მოსკოვიდან წახვედით?**

—დიახ, თანამეგობრობის თასიდან. ჩემ გადასვლაზე წელიწადზე მეტ ხანს ლაპარაკობდნენ, მაგრამ „მილანი“ არ ჩქარობდა. მათმა სკაუტებმა ჩემპიონთა ლიგაში ჩემი ყველა თამაში დაწვრილებით გაარჩიეს.

**— როგორც ვიცით, კიევთან კავშირი არ გაგიწყვეტიათ...**

— შვებულებისას ერთი კვირით ჩავდივარ. იქ მყავს მეგობრები და მცირე ბიზნესიც მაქვს.

**— ლობანოვსკის საფლავსაც მოინახულებთ ხოლმე?**

— რა თქმა უნდა, ყოველთვის. მან ჩემგან ფეხბურთელი შექმნა. 18 წლისა მივედი კიევის „დინამოში“ და ლობანოვსკიმ ისე აღმზარდა, რომ სხვა ვერავინ ვერ შეძლებდა ამას.

**— რა იყო მთავარი, რაც მან მოგცათ?**

— ფეხბურთელი მხოლოდ მაშინ იზრდება, როცა საწვრთნელი პროცესი სათანადოდ აწყობილია. თავიდან ძალიან მიჭირდა, „მილანში“ ჩასულს კი იქაური ვარჯიშები სასაცილოდ მეჩვენა.

**— „მილანის“ მაშინდელმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ თქვა, რომ თქვენსავით დაკუნთული ფეხები მანამდე არ ენახა.**

— ნამდვილად ასე იყო.

**— კარიერის დასრულების შემდეგ სად დასახლდებით, იტალიაში, საქართველოში თუ უკრაინაში?**

— ალბათ ერთ ქვეყანაში არ გავჩერდები. იტალიაშიც ვიქნები, საქართველოშიც და უკრაინაშიც ჩავალ.

**— იტალიის მოქალაქეობის მიღებას არ აპირებთ?**

— საქართველოს კონსტიტუციით ორმაგი მოქალაქეობა შესაძლებელია და რატომაც არა?

**— სეზონის პირველ ნახევარში „მილანმა“ ცუდად რატომ ითამაშა?**

— კალჩოპოლის სკანდალმა ყველაფერი ყირამალა დააყენა და მათ შორის ჩვენი მოსამზადებელი პროგრამაც. არ ვიცოდით, ვითამაშებდით თუ არა ჩემპიონთა ლიგაში. ისე გამოვიდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ჩვენი თანაგუნდელები შვებულების გარეშე დარჩნენ და პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ფაქტობრივად მოუმზადებლებს მოგვიწია ბრძოლა.

**— რას იტყვით კალჩოპოლის სკანდალზე?**

— ვერ დავიჟინებ, რომ პოლიტიკაში ვერკვევი, მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სკანდალი პრემიერ-მინისტრობიდან სილვიო ბერლუსკონის წასვლის შემდეგ აგორდა. „მილანიც“ დასჯილებს შორის მოხვდა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, სრულიად უსამართლოდ. ვფიქრობ, „მილანის“ დასჯით ბერლუსკონის გამწარება უნდოდათ.

**— როდის დაბრუნდებით ძირითად შემადგენლობაში?**

— ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნთან“ პირველი მატჩისთვის.

**— მოგვიყევით თქვენს რესტორანზე, სადაც რონალდომ „მილანთან“ კონტრაქტი გააფორმა.**

— შარშან მაისის ბოლოს გავხსენი მეგობართან ერთად, რომელსაც ჰქონდა რესტორანი, მაგრამ ახლის გაკეთება გადავწყვიტეთ „პიაცა რეპუბლიკას“ გვერდით. 400 კაცზეა გათვლილი და „ჯანინო“ დავარქვი. ეს სახელი ერთი ძველი, გაკოტრებული რესტორნისგან ვიყიდეთ. არ გვეგონა, საქმე ასე კარგად თუ აეწყობოდა, რესტორანი უფრო გასართობად გვინდოდა, სადაც სტუმრებს [illegible] გავუმასპინძლდებოდით. მაგრამ გახსენით თუ არა, სულ კლიენტი გვყავს.

**— რესტორნის მუშაობას მთლიანად თქვენ აკონტროლებთ?**

— არა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სავახშმოდ შევივლი ხოლმე. მეტი დრო არ მაქვს. კერძების ხარისხთან დაკავშირებით, პრეტენზიები არ შემოსულა, მომსახურეობასთან კი იყო შენიშვნები, რადგან ბევრი ხალხი აწყდება აქაურობას და ხანდახან ვერ ასწრებენ.

**— ძვირიანი რესტორანია?**

— დიახ. იმდენ შეკვეთას იღებენ, რომ შემთხვევით შემოსულებისთვის ადგილი ზოგჯერ არ მოიძებნება.

**— თქვენთან მხოლოდ მილანელი თანაგუნდელები შემოდიან?**

— არა, ინტერელებიც მოდიან ხოლმე. ასევე ცნობილი ხალხი ტელევიზიიდან და თვით ბერლუსკონი და გალიანიც გვსტუმრობენ.

**— მართალია, რომ კარლო ანჩელოტი ვერტმფრენით მიდის ბაზიდან სახლში?**

— მან სამისოდ შესაბამისი უფლება მიიღო და ხანდახან ასე მგზავრობს, ისევე როგორც სილვიო ბერლუსკონი.

**— თქვენ ასე მგზავრობა არ გინდათ?**

— არა. ფრენას ისედაც ვერ ვიტან.

**— მნიშვნელოვანი მატჩების წინ ბერლუსკონი და გალიანი ბაზაზე მოდიან?**

— არასოდეს. ბერლუსკონი გასახდელში თუ შემოვა იშვიათად და ისიც მხოლოდ თამაშის შემდეგ.

**— რესტორანში ქართული ღვინო არ შეიტანეთ?**

— სულ მალე გვექნება „წინანდალი“ და „საფერავი“.

**— იტალიაში არ აუკრძალავთ?**

— მადლობა ღმერთს, არა.

**— მართალია, რომ საერთოდ არ ეტანებით ალკოჰოლს?**

— დიახ.

**— მაშ, როგორი ქართველი ხართ?**

— დალევის სურვილი არასოდეს მქონია. ნათესავებთან ერთადაც კი არ ვსვამ, როცა საქართველოში სუფრა გაიშლება. უალკოჰოლოდაც შემიძლია, ვიმხიარულო.

**— საქართველოში პატივისცემას გრძნობთ?**

— სამშობლოში ვუყვარვარ არა მხოლოდ როგორც კარგი სპორტსმენი, არამედ როგორც ადამიანიც და ამას უფრო ვაფასებ. ადრე თუ გვიან სპორტს თავს დაანებებ, ადამიანად კი მუდამ უნდა დარჩე.

**— ქართულ პრესასთან პრობლემები თუ გქონიათ?**

— ჟურნალისტებთან პრობლემები არასოდეს მქონია, არც საქართველოში, არც უკრაინაში და არც იტალიაში.

**— კი მაგრამ, როცა სათადარიგოთა სკამზე გხედავენ, კრიტიკას არ იწყებენ?**

— მე ხომ „მილანში“ ვთამაშობ, სადაც უდიდესი კონკურენციაა. საქართველოში ეს კარგად იციან. ნაკრების კაპიტანი ვარ და ვიცი, რომ ყოველთვის პირველი და სამაგალითო უნდა ვიყო. ეს არასოდეს მავიწყდება და ვამაყობ, რომ „მილანში“ ქართულ ფეხბურთს წარმოვადგენ.

# UEFA CUP შეფას თასი 2006-07. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

**შახტარი** (უკრაინა) 2:3დ.დ.(2:2) *სევილია (ესპანეთი)* (2:2)
1:0 მატუზალემი (49), 1:1 მარესკა (53), 2:1 ელანო (83), 2:2 პალოპი (90), 2:3 ჩევანტონი (105)

*ალკმაარი (ჰოლანდია)* 2:0 **ნიუკასლი** (ინგლისი) (2:4)
1:0 არველაძე (14), 2:0 კოევერმანსი (56)

*ესპანიოლი (ესპანეთი)* 4:0 **მაკაბი** (ისრაელი) (0:0)
1:0 დე ლა პენია (53), 2:0 ტამუდო (59), 3:0 ლუის გარსია (61), 4:0 პანდიანი (90)

*ბენფიკა (პორტუგალია)* 3:1 **პსჟ** (საფრანგეთი) (1:2)
1:0 სიმაო (12), 2:0 პეტიტი (27), 2:1 პაულეტა (32), 3:1 სიმაო (88პ)

**მეოთხედფინალის წილისყრა**

ალკმაარი (ჰოლანდია) — ვერდერი (გერმანია)
ლევერკუზენი (გერმანია) — ოსასუნა (ესპანეთი)
სევილია (ესპანეთი) — ტოტენჰემი (ინგლისი)
ესპანიოლი (ესპანეთი) — ბენფიკა (პორტუგალია)
*პირველი მატჩები გაიმართება 5 აპრილს, საპასუხოები — 12 აპრილს*

**ნახევარფინალის წილისყრა**

ესპანიოლი ან ბენფიკა — ალკმაარი ან ვერდერი
ლევერკუზენი ან ოსასუნა — სევილია ან ტოტენჰემი
*პირველი მატჩები გაიმართება 20 აპრილს, საპასუხოები — 3 მაისს*

# ლუჩესკუს ტრაგედია
## დიდი პალოპის გმირობა პატარა პალოპის გამო



შოთა არველაძემ (№9) და „ალკმაარმა" „ნიუკასლი" დაიფრინეს

**„ველოდი,** რომ „ნიუკასლი" პირველი მატჩის მსგავსი ტაქტიკით ითამაშებდა და ასეც მოხდა. ჩვენმა ფლანგელებმა, მარტენსმა და ჟენერმა, ბათი და პარკერი უსაქმოდ დატოვეს და ამით ვაჯობეთ მეტოქეს. განსაკუთრებით გამოვარჩევ ცენტრალური მცველების კარგ თამაშს, რომლებმაც „ნიუკასლის" სწრაფი ფორვარდები ამოკეტეს" — განაცხადა ლუის ვან გაალმა, „ალკმაარმა" კი ევროთასებზე შინ წაუგებელ მატჩთა სერია 29-მდე გაზარდა.

სტუმართა მწვრთნელი გლენ რიოდერი, ცხადია, უკმაყოფილი იყო: „ჩვენი გამოცდილი ფეხბურთელების იმედი მქონდა, მაგრამ ვერ გაამართლეს. ორივე გოლი ძალიან იოლად გაგვიტანეს, დაცვას კი ასე ცუდად კარგა ხანია, არ უთამაშია".

დრამატული თამაში გამოვიდა დონეცკში. აკი ამბობდა სევილიელი ენცო მარესკა პირველი მატჩის შემდეგ, ნაადრევად ნუ ჩამოგვწერთო. ორჯერ უგებდა „შახტარი" სტუმრებს, ისევე, როგორც სევილიაში ერთი კვირის წინ, მაგრამ ორჯერვე გაათანაბრეს ანდალუზიელებმა.

საოცარი გოლი გაიტანა მატუზალემმა — „მორიელის დარტყმით" — ზუსტად ისე, რენე იგიტამ ინგლისთან მატჩში კარიდან ბურთი რომ გამოიტანა. მაგრამ უფრო დიდი საოცრება ბოლო წუთებზე მოხდა, როცა მეკარე ანდრეს პალოპი „შახტარის" საჯარიმოში ჩავიდა და, როგორც ვარჯიშზე, ხელს არავინ უშლიდა, თავით შეაგდო ბურთი მასპინძელთა კარში. დამატებით დროში კი ერნესტო ჩევანტონიმ მაღალ, ახლო კუთხეში გაუტანა „შახტარს" და უეფას თასის მფლობელი მეოთხედფინალში გაიყვანა.

„ეს იყო ყველაზე ტრაგიკული მატჩი ჩემს კარიერაში" — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ.

„პალოპის შვილი მთელი კვირის განმავლობაში საავადმყოფოში იწვა და მეკარეც თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ ბიჭი დღეს გამოწერეს, პალოპმა კი გმირობა ჩაიდინა და შვილს საჩუქარი მიუძღვნა" — განაცხადა „სევილიას" თავკაცმა ხუანდე რამოსმა.

მეორე ესპანურმა გუნდმა „ესპანიოლმა" პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხა „მაკაბის", მაგრამ დაიწყო მეორე ნახევარი და რვა წუთში უკვე 3:0 იყო.

მეოთხე და ამ ტურნირში მეცხრე გოლი ვალტერ პანდიანიმ გაიტანა.

ლისაბონის „ბენფიკამ" თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე სიმაოს პენალტით ფრანგულ პსჟ-ს დამატებითი დრო აღარ აღირსა.

პოლ ლე გუენის გუნდი ჩემპიონატში ქვედა სამეულშია და უეფას თასიდან გავარდნა ევებ წაადგეს კიდეც — ახლა შინაურ საქმეებს უფრო მშვიდად მიხედავს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ეს რა გვიქნა უეფამ?!



ამადეო კარბონი



მასიმო მორატი

„ვალენსია" — „ინტერის" მატჩის ბოლოს ატეხილი ჩხუბის მონაწილეები უეფამ მკაცრად რომ დასაჯა, გეცოდინებათ. განაჩენით ორივე კლუბის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა და გასაჩივრებას გეგმავენ, მაგრამ უეფა აზრის შეცვლას არ აპირებს და, როგორც ჩანს, თუ საჭირო გახდა, ბოლომდე მაგრად დადგება, რათა პირველადი განაჩენი ძალაში დარჩეს.

„განაჩენი აბსოლუტურად სამართლიანად მეჩვენება. უეფა ვალდებულია, ასეთ ვითარებაში რადიკალური გადაწყვეტილებები მიიღოს. ვფიქრობ, საკამათო და გასარჩევი არაფერია" — განაცხადა უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ.

შეგახსენებთ, რომ ჩხუბის გამამწვავებელმა, „ვალენსიას" მცველმა დავიდ ნავარომ შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რაც ყველა ტურნირზე ვრცელდება. ხოლო ევროსარბიელიდან მოკვეთეს კარლოს მარჩენა 4 მატჩით, ნიკოლას ბურდისო და დუგლას მაიკონი 6-6 მატჩით, ივან კორდობა და ხულიო რიკარდო კრუზი კი, შესაბამისად, 3 და 2 მატჩით.

გარდა ამისა, ორივე კლუბი 155-155 ათასი დოლარით დაჯარიმდა.

„მჯერა, უეფამ ეს მკაცრი და ალოგიკური გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ თავისი ძალა გამოეჩინა. ბუნებრივია, განაჩენი არ მოგვწონს, იგი არანაირად არ შეესაბამება იმას, რაც მინდორზე მოხდა. გასაჩივრებას ვაპირებთ და იმედია, დისკვალიფიკაციები შემცირდება. ნავარომ იცის, რომ ცუდად მოიქცა, მაგრამ კლუბი მის გვერდითაა, რადგან იგი ერთ-ერთი თანაგუნდელის დაცვას ცდილობდა" — თქვა „ვალენსიას" სპორტულმა დირექტორმა, იტალიელმა ამადეო კარბონიმ.

„ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი: „განაჩენი ყოვლად მიუღებელი და უსამართლოა. ადვოკატებთან ერთად ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ და საარბიტრაჟოში აპელაციას აუცილებლად შევიტანთ".

**გიორგი ქაქაბაძე**

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

**III ჯგუფი. III ტური**

**დეპორტეს ტოლიმა** (კოლუმბია) 1:0 **გრემიო** (ბრაზილია)
1:0 პერლაცა (33)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტეს ტოლიმა | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| გრემიო | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| კუკუტა დეპორტივო | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| სერო პორტენო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |

**VI ჯგუფი. III ტური**

**ლიგა დე კიტო** (ეკვადორი) 1:1 **რივერ პლეიტი** (არგენტინა)
1:0 ე. ტორესი (15), 1:1 ფარიასი (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარაკასი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ლიგა დე კიტო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| რივერ პლეიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| კოლო კოლო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

**VIII ჯგუფი. III ტური**

**დეპორტივო პასტო** (კოლუმბია) 1:2 **დეფენსორ სპორტინგი** (ურუგვაი)
1:0 როდასი (27), 1:1 ვ. მარტინესი (81), 1:2 დე სოუზა (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| დეფენსორ სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ხიმნასია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| დეპორტივო პასტო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |

# ზიზუ VS რონალდო
## მეგობრები სიღატაკის წინააღმდეგ

**ორშაბათს** კიდევ ერთი საქველმოქმედო მატჩი გაიმართება — „ზიდანი და მისი მეგობრები" „რონალდო და მისი მეგობრები"-ს წინააღმდეგ.

შეხვედრა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორიც გაეროა, ზიდანის მშობლიურ ქალაქში, მარსელის „ველოდრომზე" ჩატარდება და შემოსული თანხა სიღარიბის დაძლევისთვის ბრძოლას მოხმარდება.

გუნდების კაპიტნები, რა თქმა უნდა, თავად ზიდანი და რონალდო იქნებიან.

აქვე გეტყვით, რომ ზიზუ ამჟამად ყატარშია კეთილი ნების ელჩის რანგში.

**ბაჩა შალამბერიძე**



# ძმაბიჭები რესტორანში







# იუვესაც დაიჭერენ, რეალსაც დაიჭერენ, ფრენკსაც დაიჭერენ, ჟოზესაც დაიჭერენ

**რბოლას** ფრენკ ლამპარდის ხელში ჩასაგდებად „იუვენტუსიც" შეუერთდა — ხუთშაბათ საღამოს ლონდონში, „ჩელსის" ნახევარმცველის პირად აგენტ სტივ კანტერთან სალაპარაკოდ ტურინიდან დელეგაცია ჩავიდა.

მოგეხსენებათ, ლამპარდს კონტრაქტის თანახმად, „ლურჯების" კიდევ ორი წელიწადი მართებს, მაგრამ არსებობს ფიფას ახალი წესიც, რომლის თანახმად, 28 წელს გადაცილებულ ფეხბურთელს, რომელმაც ამა თუ იმ კლუბში 2 წელიწადი უკვე ითამაშა, შეუძლია, ამ კლუბს ხელშეკრულებით დარჩენილ ვადაში ხელფასად ასაღები თანხა მოუტანოს და ქუდიც დაიხუროს. ჰოდა, ფრენკ ლამპარდს ქუდის დასახურად „ლურჯების" ოფისში 8 მილიონი გირვანქის, ანუ 15,49 მილიონი დოლარის, ანუ 11,69 მილიონი ევროს მიტანა დასჭირდება და თუ ამ თანხას „იუვე" გადაუხდის, ყველა მხარე მოგებაში დარჩება — ამ კომბინაციის გარეშე კი ინგლისელი ვარსკვლავის ფასი 48,41 მილიონი დოლარი, ანუ 36,54 მილიონი ევროა.

ახლა „ბებერი ქალბატონის" იმ წარმომადგენლებს დაგისახელებთ, რომელთა შესახებ ზემოთ გაკვრით მოგახსენეთ და რომლებმაც აგენტ კანტერთან რესტორან „სკალინიში" სამი საათი ილაპარაკეს — ისინი გახლდნენ „იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტი, წარსულში დიდი თავდამსხმელი რობერტო ბეტეგა და გენერალური მენეჯერი ალესიო სეკო.

სტივ კანტერმა „იუვეს" წარმომადგენლებთან შეხვედრა ვერ უარყო, მაგრამ ფრენკ ლამპარდის თემისგან თავი საკმაოდ შორს დაიჭირა.

„მას მერე, რაც, თავის დროზე „იუვენტუსი" პოლ ინსის შეძენას ცდილობდა, მე და რობერტო კარგი მეგობრები ვართ. ამჯერად ლონდონში პრემიერლიგის რამდენიმე კლუბის წარმომადგენლებს შევახვედრე. „იუვე" მათთან პერსპექტიულ თანამშრომლობაზე მუშაობს და სულ ეს იყო" — ბრძანა აგენტმა.

ზოგადად კი ცნობილია, რომ „იუვენტუსი" ფრენკ ლამპარდით დიდი ხანია, დაინტერესებულია. ტურინელებს ინგლისელი ვარსკვლავის შეძენა ჯერ კიდევ სამი წლის წინ უნდოდათ და მზად იყვნენ, მასში ფულის დამატებით ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგეც გაეცვალათ.

ამასობაში კი „ჩელსი" აცხადებს, რომ ლამპარდის გაშვებას არ აპირებს.

კი მაგრამ, ფიფას ახალი წესი? — იკითხავს მავანი.

ამაზე ლონდონელთა აღმასრულებელ შეფ პიტერ კინიონს მზა პასუხი აქვს: „ფიფას ახალ წესში ბევრი რამ გაურკვეველია".

ამ გაურკვევლობასთან ერთად, რომლის შესახებ საზოგადოებისთვის ჯერ არაფერი უთქვამთ, „ჩელსის" შეფებს ექვსთვიანი დისკვალიფიკაციაც კი წამოცდათ. ცხადია, ისევ ფიფას წესზეა ლაპარაკი, ოღონდ უკვე იმაზე, რომელიც კლუბს აწყობს და, რომელშიც კლუბის აზრით, ბუნდოვანი არაფერია.

მოკლედ, თუ დავადგენთ, რომ ახალ კლუბთან ჩვენს ზურგსუკან აწარმოებდი მოლაპარაკებებს, შავ დღეს დაგაყრითო, გადაუკრეს ფეხბურთელს.

და, ისევ და ისევ ფიფას წესის თანახმად, „ჩელსისთვის" „თქვენთან აღარ მინდას" სათქმელად და დარჩენილი კონტრაქტის გამოსასყიდად ლამპარდს მხოლოდ სეზონის ბოლო 15 დღე აქვს.

ამასთან, ცნობილია, რომ „იუვენტუსამდე" ლამპარდით მადრიდის „რეალი" იყო დაინტერესებული. უფრო ზუსტად, „რეალს" „ჩელსის" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ სურს, მაურინიუს კი ლამპარდი, რაც ლონდონელებს საშუალებას აძლევს, მარცხნივ და მარჯვნივ არიგონ მუქარები: მაურინიუსაც დავასჯევინებთ, „რეალსაც" დავასჯევინებთ და ლამპარდსაც დავასჯევინებთ...

**პაპუნა ბედია**



# რინკონი ბოლში და შარში გაეხვა

**კოლუმბიის** ნაკრების ყოფილ თავდამსხმელ ფრედი რინკონზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

საქმე ინტერპოლს პანამის პროკურატურამ გადასცა.

„ჩვენ ვითხოვთ რინკონის დაპატიმრებას და პანამაში ექსტრადირებას" — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

და, რა თქმა უნდა, არ უნდა გაგიჭირდეთ, მიზეზის გამოცნობა: რინკონს ნარკოტიკების შენახვა-გავრცელებაში ედება ბრალი.

ეჭვმიტანილმა რამდენიმე წელია, ფეხბურთელის კარიერა დაასრულა, თავის დროზე კი ბრაზილიურ „პალმეირასში", „სანტოსში", „კორინთიანსში" და მადრიდის „რეალში" უთამაშია.

**ბახა შალამბერიძე**

# ბარსამ ისტორიული გოლი დაიგრძელა

**„ბარსელონას"** ბრაზილიელმა მცველმა ჟულიანო ბელეტიმ კატალონიურ გრანდთან კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა.

„მოხარული ვარ, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვრჩები. მე და ჩემი ოჯახი ბედნიერები ვართ კატალონიაში ყოფნით. აბა, რომელი ფეხბურთელი არ ოცნებობს „ბარსაში" გადასვლაზე? იმედი მაქვს, „კამპ ნოუზე" კიდევ დიდხანს ვითამაშებ, თუმცა ისიც ვიცი, რომ ეს ჩემს მონდომებაზე და თამაშის ხარისხზეა დამოკიდებული — უთხრა ბელეტიმ ესპანურ მედიას — ისე ხშირად არ ვთამაშობ, როგორც მსურს, მაგრამ ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. გუნდურ ინტერესებს ყველაფერზე მაღლა ვაყენებ. ჩემი მიზანია, რაიკარდს ვარჯიშებზე დავუმტკიცო, რომ მას შეუძლია, ბელეტის იმედი ჰქონდეს".

ჟულიანო ჰაუს ბელეტი 1976 წლის 20 ივნისს დაიბადა. „ბარსაში" 2004-05 სეზონის წინ ჩაირიცხა, დებიუტი კი 2004 წლის 29 აგვისტოს სანტანდერის „რასინგთან" ჰქონდა.



„ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა და ჟულიანო ბელეტი

ყველაზე მეტად ბრაზილიელმა კატალონიურ ინჩადს თავი 2006 წლის 17 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ლონდონის „არსენალის" კარში გატანილი გამარჯვების გოლით დაამახსოვრა — ამ გოლმა „ბარსელონას" კლუბის ისტორიაში რიგით მეორე ჩემპიონთა თასი მოუტანა.

**ლადო ხომერიკი**

# ფოგთსის ახდენილი ნიგერია

**მოულოდნელი** მოხდა: 60 წლის გერმანელი მწვრთნელი ბერტი ფოგთსი ახლა უკვე „ნამდვილი აფრიკელია" — როგორც იქნა, მისი თვითმფრინავი შუაგულ აფრიკაში, ნიგერიის დედაქალაქ აბუჯაში დაეშვა.

ფანებმა და ფოტოგრაფებმა აეროპორტშივე დიდი ალყა შემოარტყეს „ნანატრ" ფოგთს, რომელიც აქამდეც უნდა ჩასულიყო ნიგერიაში, მაგრამ ფინანსური გაუგებრობების გამო ეს თანამშრომლობა კინაღამ ჩაიშალა.

გერმანელის დავალება ასეთია: ნიგერიის ნაკრებს აფრიკის თასი უნდა მოაპოვებინოს და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც უნდა წაიყვანოს სამხრეთ აფრიკაში.

საამსაქმოდ ბევრი დრო ნამდვილად არ აქვს: უკვე 24 მარტს აფრიკის თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე უგანდასთან მატჩი ელის.

ბერტი აფრიკაშია — მაგრამ იგი ჯერ კიდევ როგორც გერმანელი ისე მუშაობს!



ბერტი ფოგთსი: „მე აქ სამუშაოდ ჩამოვედი, სამუშაო კი მართლა ბევრია. 2008 წლის იანვარში ან თებერვალში გერმანიის ნაკრების ნიგერიაში ჩამოყვანა მსურს — ამხანგური მატჩის ჩასატარებლად ყველანაირად მზად ვართ, თუმცა პრობლემა ისაა, რომ ბუნდესნაკრებს ფრანკფურტიდან აბუჯამდე 6 საათი მოუწევს ფრენა".

ორშაბათს ფოგთს მისი თანაშემწეები, თომას ჰესლერი და ული შტაინი შეუერთდებიან.

მოკლედ, ნიგერიულ-გერმანული თანამშრომლობა, როგორც იქნა, დაიწყო...

**ნინო სილაგაძე**

# კოკაინი კალიონით: მოკვეთა!

**იტალიური** „მესინას" მეკარე ნიკოლას კალიონი ოფიციალურად მოკვეთეს ფეხბურთიდან — იგი 11 თებერვალს „კატანიასთან" მატჩის შემდეგ შეამოწმეს და კოკაინის მჟონსავი ალმოჩნდა.

განმეორებითმა ტესტმა სისხლში კოკაინის არსებობა დაადასტურა და სადისციპლინო კომიტეტმაც დისკვალიფიკაციას ხელი მოაწერა. რამდენ ხანს მოუწევს უქმობა კალიონის, უცნობია, „მესინამ" კი ახალ მეკარეზე იზრუნა და თავისუფალი აგენტი რაულ სანტარელი დაიმატა, რომელსაც სამთვიანი კონტრაქტი გაუფორმა.

**გაჟა ხუციშვილი**

## იაფი ბიჭი

**„ლივერპული"** ბილბაოს „ატლეტიკოდან" 17 წლის მცველის მიკელ სან ხოსეს ყიდვას აპირებს. მას კლუბთან პროფესიული კონტრაქტი არ აქვს და ამდენად, „ლივერპულს" მისი გადაბირება დაახლოებით 100 ათასი ევრო დაუჯდება.

## ობა ღამურას?

**„ვალენსია"** დაინტერესებულია ობაფემი მარტინსის შეძენით — წერს „დიარიოსპორტი".

ნიგერიელი მშვენივრად ჩაეწერა „ნიუკასლში" და გოლებიც გააქვს. „ღამურებს" კი მარტინსი დავიდ ვილიას შემცვლელად უნდათ, რომელზეც „ჩელსი", „ლივერპული", „ინტერი", „იუვენტუსი" და „რეალი" „ნადირობენ".

## გავცვალოთ ორი ოთხში

**იტალიური** „გაძეტა დელა სპორტი" ამტკიცებს, რომ „რომა" „უდინეზეს" ევაჭრება ვინჩენცო იაკინტასა და დავიდე დი ნატალეს ტრანსფერზე. უდინელთა პრეზიდენტი მზადაა, ფორვარდები დათმოს, სანაცვლოდ კი, „რომასგან" მირკო ვუჩინიჩს, ჯანლუკა კურჩის, ჯანლუკა ფრედის და ვალერიო ვირგას ითხოვს. მეკარე კურჩი და ნახევარმცველი ვირგა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან.

ამასობაში კი გაირკვა, რომ რომაელები არ აპირებენ „ვალენსიასგან" ნათხოვარი ფრანჩესკო ტავანოს გამოსყიდვას.

## მესტოს ადგილი ლაციოშია

**„რეჯინას"** საუკეთესო ფეხბურთელი ჯანდომენიკო მესტო, შესაძლოა, „ლაციოში" გადავიდეს. ამის შესახებ მისმა აგენტმა განაცხადა. ნახევარმცველი 2002 წლიდანაა „რეჯინაში" და სეზონის ბოლოს გუნდის გამოცვლას აპირებს.

— „ლაციო" ერთ-ერთ საუკეთესო იტალიური კლუბია და მესტო იქ სიამოვნებით გადავა, თუკი მის გაყიდვას დათანხმდებიან — თქვა ფეხბურთელის აგენტმა მორენო როჯიმ.

## ტრეზეგეს სამი დაუმტკიცეს

**„იუვენტუსმა"** დავიდ ტრეზეგეს სამმატჩიანი სასჯელი გააპროტესტა, მაგრამ ამაოდ. განაჩენი ძალაში დარჩა.

ფრანგმა „ბრეშასთან" მატჩში მეტოქე ფაბიანო სანტაკროჩეს მალულად იდაყვი მიარტყა, რაც მსაჯმა, ვერ დაინახა, თუმც ტრეზეგე კამერებმა „გაყიდეს". „ტრევიზოსთან" შეხვედრა ფრანგმა უკვე გამოტოვა და გუნდს „ტრიესტინასთან" და „ფროზინონესთანაც" დააკლდება.

**გაჟა ხუციშვილი**

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მანჩესტერი | : | ბოლტონი |
| მიდლსბრო | : | სიტი |
| რედინგი | : | პორტსმუთი |
| ტოტენჰემი | : | უოტფორდი |
| უიგანი | : | ფულემი |
| ბლექბერნი | : | ვესტ ჰემი |
| ჩელსი | : | შეფილდი |
| **ხვალ** | | |
| ჩარლტონი | : | ნიუკასლი |
| ასტონ ვილა | : | ლივერპული |
| ევერტონი | : | არსენალი |

# ინგლისი

# მაურინიუს კუდი მანჩესტერის კუდზე

**ზედიზედ** ხუთი მატჩის მომგები „მანჩესტერი" „ბოლტონს" მასპინძლობს, რომელთანაც 2002 წლის შემდეგ არ დამარცხებულა.

დამხვდურთა კარში პოლონელი ტომაშ კუშჩაკი ჩადგება, რადგან ედვინ ვან დერ სარი ტრავმირებულია. ძირითად შემადგენლობაში ალბათ ალან სმიტიც გამოჩნდება, ვინც სამშაბათს საქველმოქმედო მატჩში ევროპის სიმბოლურ ნაკრებთან ითამაშა. ოლე გუნარ სოლსკიაერი და ლუი საა დაშავებულნი არიან, ჰენრიკ ლარსონი კი „ჰელსინგბორგს" დაუბრუნდა და „მანჩესტერს" შეტევაში უჭირს. ფერგიუსონიც ალან სმიტს ამიტომაც მისცემს შანსს.

„გადამწყვეტი თამაშების დრო მოდის და მინდა, მეც მივიღო მონაწილეობა. ფიზიკურად თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და, დარწმუნებული ვარ, შანსს გამოვიყენებ" — თქვა სმიტმა.

თავის მხრივ, „ბოლტონი" ოთხეულში შეძრომას ცდილობს და ფრანგ ფორვარდ ნიკოლა ანელკას მიაჩნია, რომ „მანჩესტერს" მათთან გაუჭირდება: „იუნაიტედის" მსგავს გუნდებს ჩვენთან გასეირნების საშუალება არ ექნებათ, რადგან ბურთს თავისუფლად ვერ გაათამაშებენ".

არადა, ანელკას „ბოლტონს" ფერგიუსონის გუნდმა პირველ წრეში 4:0 მოუგო.

ასევე მიჯრით ხუთი თამაშის მომგები და „მანჩესტერის" მდევარი „ჩელსი" „შეფილდს" დაუხვდება და მასპინძლებს ალბათ გამარჯვება არ გაუჭირდებათ. ჟოზე მაურინიუს თანაშემწე სტივ კლარკს ფრენკ ლამპარდის და ტრავმამოშუშებული ჯონ ტერის ეიმედება...

„ვგრძნობთ, რომ „მანჩესტერის" დაწევა შესაძლებელია — თქვა კლარკმა — ერთი ფეხი თუ წაუცდათ და წააგეს, სხვაობა სამ ქულამდე შემცირდება და, შეიძლება, ფსიქოლოგიურად გატყდნენ. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, წაიფორხილებენ, ჩვენ კი კუდზე ვაზივართ. ფრენკ ლამპარდი საუცხოო ფორმაშია. „მანჩესტერ სიტისთან" სეზონში მე-20 გოლი გაიტანა და ნახევარმცველისთვის ეს ბრწყინვალე შედეგია. კაპიტანი ჯონ ტერიც დაგვიბრუნდა. ის ხომ გუნდის გულია და მოედანზე მისი ყოფნა „ჩელსის" აძლიერებს".

„არსენალს" მძიმე მატჩი ელის „ევერტონთან", რადგან ანრის, ადებაიორის, ებუსა და კლიჩის გარეშე მოუწევს თამაში. ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდებიან ტრავმამოშუშებული ტომაშ როსიცკი და სასჯელმოხდილი კოლო ტურე.

„მანჩესტერ სიტის" წყალშეყვანებულ მწვრთნელ სტიუარტ პირს დღეს პოსტის შენარჩუნების შანსი ეძლევა — თუ მისი გუნდი „მიდლსბროსთან" არ დამარცხდა, აღარ გაათავისუფლებენ.

**გაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 0:1 | 2:0 | | 3:0 | 3:2 | 1:0 | 3:0 | | 2:0 | | 3:1 | 5:1 | 3:1 | | 3:1 | 2:0 | 4:0 | | 29 | 23 | 3 | 3 | 66:19 | 72 | 12 | 1 | 1 | 35:8 | 37 | 11 | 2 | 2 | 31:11 | 35 |
| 2 | ჩელსი | | | 1:1 | 1:0 | | | 2:2 | | 2:1 | 3:0 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 2:2 | 4:0 | | 3:0 | 2:1 | 4:0 | 1:0 | 29 | 20 | 6 | 3 | 51:19 | 66 | 10 | 4 | 0 | 30:8 | 34 | 10 | 2 | 3 | 21:11 | 32 |
| 3 | არსენალი | 2:1 | | | 3:0 | | 1:1 | 2:1 | 3:0 | 2:2 | 6:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 2:1 | 3:0 | | 4:0 | 3:0 | | 28 | 16 | 7 | 5 | 51:23 | 55 | 9 | 5 | 0 | 34:11 | 32 | 7 | 2 | 5 | 17:12 | 23 |
| 4 | ლივერპული | 0:1 | 2:0 | | | 3:0 | 0:0 | 2:0 | 3:0 | 0:0 | 1:1 | 2:0 | | 3:1 | 4:0 | | 4:0 | 1:0 | | 2:0 | 2:1 | 29 | 16 | 5 | 8 | 44:20 | 53 | 11 | 3 | 1 | 29:4 | 36 | 5 | 2 | 7 | 15:16 | 17 |
| 5 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 3:1 | 2:0 | | | | 2:0 | 3:2 | 1:2 | 2:1 | 0:0 | | 2:1 | 0:1 | | 0:0 | 1:1 | 1:0 | 4:0 | 29 | 14 | 5 | 10 | 34:34 | 47 | 8 | 3 | 4 | 21:14 | 27 | 6 | 2 | 6 | 13:20 | 20 |
| 6 | ევერტონი | | 2:3 | | 3:0 | 1:0 | | 1:1 | 1:2 | | 1:0 | 3:0 | 0:0 | 0:1 | | 2:2 | 2:0 | 1:1 | | 2:1 | 2:0 | 29 | 11 | 10 | 8 | 37:26 | 43 | 7 | 4 | 3 | 21:11 | 25 | 4 | 6 | 5 | 16:15 | 18 |
| 7 | რედინგი | 1:1 | 0:1 | 0:4 | | 1:0 | 0:2 | | 3:1 | | 1:2 | | 3:2 | 2:0 | | 3:2 | 3:1 | 1:0 | 2:0 | | 6:0 | 29 | 13 | 4 | 12 | 43:38 | 43 | 9 | 1 | 4 | 26:16 | 28 | 4 | 3 | 8 | 17:22 | 15 |
| 8 | ტოტენჰემი | 0:4 | 2:1 | | 0:1 | 4:1 | 0:2 | | | 2:1 | | 2:3 | 2:1 | 2:1 | 0:0 | 3:1 | 2:0 | | 5:1 | | 1:0 | 29 | 12 | 6 | 11 | 40:43 | 42 | 9 | 1 | 4 | 25:17 | 28 | 3 | 5 | 7 | 15:26 | 14 |
| 9 | პორტსმუთი | | 0:2 | | | 0:1 | 2:0 | 3:1 | 1:1 | | 3:0 | | 0:0 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 0:1 | 2:1 | 2:0 | 29 | 11 | 8 | 10 | 36:31 | 41 | 8 | 4 | 3 | 22:12 | 28 | 3 | 4 | 7 | 14:19 | 13 |
| 10 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | 0:2 | 1:0 | 0:1 | 1:1 | | 1:1 | 3:0 | | 1:3 | 2:1 | | 2:0 | 2:1 | 2:1 | 4:2 | | | | 29 | 12 | 4 | 13 | 35:39 | 40 | 7 | 2 | 5 | 19:16 | 23 | 5 | 2 | 8 | 16:23 | 17 |
| 11 | ნიუკასლი | 2:2 | | | 2:1 | 1:2 | 1:1 | 3:2 | 3:1 | 1:0 | | | 0:0 | 3:1 | 1:2 | 2:1 | 0:1 | | 0:0 | 2:1 | 2:2 | 29 | 10 | 7 | 12 | 34:37 | 37 | 7 | 5 | 3 | 23:17 | 26 | 3 | 2 | 9 | 11:20 | 11 |
| 12 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 5:1 | 2:1 | 2:1 | | 0:4 | 0:1 | 1:0 | | | | 1:1 | 3:1 | | 2:0 | | 1:0 | 29 | 9 | 9 | 11 | 32:34 | 36 | 8 | 3 | 3 | 21:14 | 27 | 1 | 6 | 8 | 11:20 | 9 |
| 13 | ასტონ ვილა | 0:3 | 0:0 | : 0:1 | | 0:1 | | 2:1 | 1:1 | | 2:0 | 2:0 | 1:1 | | 1:1 | | | 1:3 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 29 | 7 | 12 | 10 | 29:35 | 33 | 6 | 4 | 4 | 15:12 | 22 | 1 | 8 | 6 | 14:23 | 11 |
| 14 | ფულემი | 1:2 | 0:2 | 2:1 | | 1:1 | 1:0 | 0:1 | 1:1 | | | 2:1 | 2:1 | 1:1 | | 0:1 | 1:0 | | 2:1 | 0:0 | 0:0 | 29 | 7 | 12 | 10 | 31:44 | 33 | 6 | 5 | 4 | 14:13 | 23 | 1 | 7 | 6 | 17:31 | 10 |
| 15 | უიგანი | 1:3 | 2:3 | 0:1 | 0:4 | | 0:2 | 1:0 | | 1:0 | 0:3 | 1:0 | | 0:0 | | | 0:1 | 4:0 | 3:2 | 1:1 | | 29 | 9 | 5 | 15 | 30:44 | 32 | 5 | 2 | 7 | 14:20 | 17 | 4 | 3 | 8 | 16:24 | 15 |
| 16 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 1:1 | 0:0 | | 2:1 | 2:2 | 2:0 | | | 0:1 | 2:1 | | | 29 | 8 | 7 | 14 | 25:41 | 31 | 5 | 6 | 4 | 18:17 | 21 | 3 | 1 | 10 | 7:24 | 10 |
| 17 | სიტი | | : 0:1 | 1:0 | | 0:2 | 2:1 | 0:2 | 1:2 | 0:0 | 0:3 | 0:0 | 1:0 | | 3:1 | 0:1 | 0:0 | | | 0:0 | 2:0 | 28 | 8 | 6 | 14 | 20:34 | 30 | 5 | 4 | 6 | 10:13 | 19 | 3 | 2 | 8 | 10:21 | 11 |
| 18 | ჩარლტონი | 0:3 | 0:1 | 1:2 | 0:3 | 2:0 | 1:1 | | | 0:1 | 1:0 | | 1:3 | 2:1 | 2:2 | | | 1:0 | | 0:0 | 4:0 | 29 | 6 | 6 | 17 | 26:49 | 24 | 5 | 3 | 6 | 15:17 | 18 | 1 | 3 | 11 | 11:32 | 6 |
| 19 | უოტფორდი | 1:2 | | 1:2 | 0:3 | 0:1 | 0:3 | 0:0 | 0:0 | | 2:1 | | 2:0 | 0:0 | 3:3 | : 1:1 | 0:1 | | 2:2 | | 1:1 | 29 | 3 | 11 | 15 | 18:43 | 20 | 2 | 7 | 6 | 13:20 | 13 | 1 | 4 | 9 | 5:23 | 7 |
| 20 | ვესტ ჰემი | 1:0 | | 1:0 | 1:2 | | | 0:1 | 3:4 | 1:2 | 2:1 | 0:2 | | 1:1 | 3:3 | 0:2 | 1:0 | 0:1 | 3:1 | 0:1 | | 29 | 5 | 5 | 19 | 21:50 | 20 | 5 | 2 | 8 | 17:21 | 17 | 0 | 3 | 11 | 4:29 | 3 |

# ბარსელონას 110 მილიონი სასაცილოდ არ ეყო

## რონალდინიოს კი მილანში მაინც ელიან



ფერანო სორიანოს მიერ ტაბუდადებულ რონალდინიოს რონალდო „მილანისკენ" ექაჩება

„ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტმა ფერან სორიანომ რონალდინიოს „მილანში" შესაძლო გადასვლას უსაფუძვლო ჭორი უწოდა.

შეგახსენებთ, რომ ამ სენსაციურ ტრანსფერზე მითქმა-მოთქმის ახალი ტალღა მას მერე აგორდა, რაც მილანში ბრაზილიელი ვარსკვლავის აგენტი და ძმა რობერტო დე ასისი ჩავიდა.

ისიც ითქვა, „როსონერის" მფლობელი სილვიო ბერლუსკონი მზად არის, რონალდინიოში სარეკორდო თანხა, 110 მილიონი ევრო გადაიხადოსო.

„ყველა ჭორი რონალდინიოს „მილანში" გადასვლაზე უბრალო ხუმრობაა. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც თქვა, რომ ეს ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება და მის ყიდვას არ ვაპირებთო. ასეც რომ არ იყოს, „ბარსელონა" ნამდვილად არ აპირებს რონალდინიოს გაყიდვას და საერთოდაც, არა მგონია, კლუბის რომელიმე ფეხბურთელს უნდოდეს წასვლა" — განუცხადა სორიანომ კატალონიურ რადიოს.

სამაგიეროდ, საპირისპიროს ამტკიცებს იტალიური პრესა. აგერ, „მილანის" ბრაზილიელმა რონალდომაც თქვა, რონალდინიოს სულმოუთქმელად ველითო...

„რონალდინიო ჩემი მეგობარია და ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ იგი ჩვენთან გადმოვა. მის შესაძლებლობებზე საუბარი ზედმეტიცაა. დარწმუნებული ვარ, იგი „მილანს" კარგად მოერგება და სერია A-ში ადაპტაცია არ გაუჭირდება. ამ საკითხზე პირადად მასთან არ მისაუბრია, მაგრამ ვიცი ჩვენი ხელმძღვანელობის სურვილი და მიზანი — ისინი ყველანაირად ეცდებიან რონალდინიოს ყიდვას" — თქვა „კიჭამ".

**ქოქი ქანდელაკი**

# დელ პიეროზე გაზრდილი ალადინი



**რაფაელე პალადინო ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება — მას უკვე ადარებენ ალესანდრო დელ პიეროს, ზლატან იბრაჰიმოვიჩს, კრიშტიანუ რონალდუს... პალადინოს უკვე მრავალი მსურველიც ჰყავს, მაგრამ „იუვენტუსი" მასზე დიდ იმედებს ამყარებს და გაყიდვასაც, ბუნებრივია, არ უპირებს. პერსპექტიულმა იუვენტუსელმა ერთ-ერთი იტალიური ჟურნალისთვის თერთმეტი საინტერესო კომენტარი გააკეთა...**

1. რობერტო ბაჯოს და ალესანდრო დელ პიეროს პოსტერებზე გავიზარდე.

2. ფეხბურთით განსაკუთრებით მაშინ მოვიხიბლე, როცა 22 წლის დელ პიერო საოცრებებს სჩადიოდა.

3. დელ პიეროსა და დავიდ ტრეზეგეს დახმარებით, მიმდინარე სეზონში ძალიან მოვუმატე. ალექსის მადლობელი ვარ იმის გამო, რომ მან მასწავლა ზუსტი, მოჭრილი დარტყმა, დრიბლინგი და ბევრი რამ. დავიდისგან კი სხვა მნიშვნელოვანი საიდუმლოებები ავითვისე.

4. თავს უკვე „იუვენტუსის" განუყრელ წევრად ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ აქ მხოლოდ შარშანდელი ზაფხულის მერე ვარ.

5. ვიცი, რომ ჩემით „მანჩესტერ იუნაიტედია" დაინტერესებული, მაგრამ მინდა, კარიერა აქ გავაგრძელო, კიდევ რამდენიმე წლით მაინც.

6. ჩემი ახალი მეტსახელი მომწონს — კლუბის ერთ-ერთმა მფლობელმა ჯონ ელკანმა „ალადინო" შემარქვა. ეს უფრო კარგად ჟღერს და მომწონს, ვიდრე „პალაიბრა". თუმცა, თუ მე „ალადინო", ვარ, მაშინ დელ პიერო „ჯინია"...

7. ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი, როცა 13 წლისა „ნაპოლიში" მივედი, მაგრამ დამიწუნეს. შესაძლოა, იმ დროს უკეთესი მოთამაშეები ჰყავდათ ან იმ დღეს სათანადოდ ვერ შემაფასეს. თუმცა ჩემს ფესვებს არასდროს ვივიწყებ — ნეაპოლელი ვარ.

8. როცა ტურინში ჩამოვედი, ლუჩანო მოჯი მამასავით მექცეოდა. იგი სასარგებლო რჩევებსაც მაძლევდა. სამწუხაროა, რაც მერე მოხდა...

9. ახლა „იუვენტუსში" დიდიე დეშანის დამსახურებით ვარ. „უდინეზესა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" სურდათ ჩემი ყიდვა, მაგრამ მწვრთნელმა არ გამიშვა.

10. მინდა, „იუვენტუსისთვის" კრიშტიანუ რონალდუ ვიყო — იგი ევროპაში საუკეთესო მოთამაშეა. კრიშტიანუ უკვე ზრდასრულია, ბრწყინვალე ტექნიკა, დრიბლინგი და დარტყმა აქვს.

11. დრიბლინგი ჩემი მთავარი იარაღია, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაო.

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| სამპდორია | : | პალერმო |
| ხვალ | | |
| მილანი | : | ატალანტა |
| კალიარი | : | კიევო |
| ლაციო | : | ემპოლი |
| ასკოლი | : | ინტერი |
| უდინეზე | : | ლივორნო |
| კატანია | : | რეჯინა |
| ფიორენტინა | : | რომა |
| პარმა | : | სიენა |
| მესინა | : | ტორინო |

# იტალია

# სიცილიელებს არ ეცინებათ

## ცუდი სერიები სერია A-ში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 27 | 23 | 4 | 0 | 59:22 | 73 |
| რომა | 27 | 17 | 6 | 4 | 55:22 | 57 |
| ლაციო | 27 | 14 | 7 | 6 | 44:21 | 46 |
| პალერმო | 28 | 13 | 7 | 8 | 42:33 | 46 |
| ემპოლი | 27 | 11 | 9 | 7 | 27:24 | 42 |
| მილანი | 27 | 13 | 9 | 5 | 37:24 | 40 |
| ფიორენტინა | 27 | 15 | 6 | 6 | 45:24 | 36 |
| სამპდორია | 27 | 9 | 7 | 11 | 34:34 | 34 |
| ატალანტა | 27 | 7 | 11 | 9 | 40:39 | 32 |
| უდინეზე | 27 | 8 | 8 | 11 | 30:37 | 32 |
| კატანია | 28 | 8 | 8 | 12 | 35:50 | 32 |
| ლივორნო | 27 | 6 | 11 | 10 | 27:39 | 29 |
| ტორინო | 27 | 7 | 7 | 13 | 21:39 | 28 |
| სიენა | 27 | 5 | 13 | 9 | 24:31 | 27 |
| კალიარი | 27 | 5 | 12 | 10 | 21:30 | 27 |
| კიევო | 27 | 5 | 9 | 13 | 29:39 | 24 |
| მესინა | 27 | 5 | 9 | 13 | 28:43 | 24 |
| რეჯინა | 27 | 8 | 9 | 10 | 34:39 | 22 |
| ასკოლი | 27 | 3 | 10 | 14 | 20:39 | 19 |
| პარმა | 27 | 3 | 10 | 14 | 23:46 | 19 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

**„პარმასთან"** ერთად სერია A-ს გამოკვეთილი აუტსაიდერი „ასკოლი" ლიდერ „ინტერს" მასპინძლობს. ნედო სონეტის შეგირდები ბოლო დროს კი მოყოჩაღდნენ და ხუთი მატჩია, არ წაუგიათ, მაგრამ ამჯერად მათგან სასწაულს ცოტა თუ ელის. მით უმეტეს, „ინტერს" მიზნად 100 ქულის მოგროვება დაუსახავს.

ტურის მთავარი მატჩი კი „არტემიო ფრანკიზეა": „ფიორენტინა" „რომას" მასპინძლობს.

„გლადიატორები" მეორე ადგილზე მყარად კი არიან და უახლოეს მდევრებს 11 ქულით უსწრებენ, მაგრამ გუნდის ბოლოდროინდელი და ზოგადად, სეზონის მანძილზე სტუმრად თამაშით ქომაგები მაინცდამაინც აღფრთოვანებულნი არ არიან.

ფლორენციელთათვის ეს მატჩი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან „იების" მიზანი ოთხეულია, რასთანაც 10 ქულა აშორებთ, 11 ტურში კი ეს სხვაობა არც ისე ადვილი ამოსაქაჩია.

ასე რომ, „ფიორენტინას" ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვს.

მასპინძლებს მარკო დონადელი, მასიმო გობი და მარიო სანტანა არ ეყოლებათ, ხოლო სტუმრების ერთადერთი დანაკლისი ჟილბერტო მარტინესია.

„მათ სერია A-ში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავთ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, ისევე, როგორც ჩვენ. „ფიორენტინასა" და „რომას" შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ვერ ვხედავ. დაკლებული ქულები რომ არა, ახლა სამეულში ვიქნებოდით. ვეცდებით, მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავზე. ამ მატჩის მოგება ძალიან გვჭირდება" — თქვა ფლორენციელთა მეკარემ სებასტიან ფრეიმ.

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია „სტადიო ოლიმპიკოზეც", სადაც ჩინებულ ფორმაში მყოფი „ლაციო" მეხუთეადგილოსან „ემპოლის" მასპინძლობს.

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ მთავარ სიურპრიზად ქცეული ტოსკანელები ყველანაირად შეეცდებიან, ეს არ წააგონ და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის რეალური შანსი შეინარჩუნონ.

მასპინძლები სანჩეს კრიბარისა და სებასტიან სივილიას მოისაკლისებენ, ხოლო სტუმრები ფრანჩესკო პრატალისა და დანიელე ადანის.

წაგებული „მადონინას" შემდეგ „მილანი" ეცდება, ფანების გული იმით მოიგოს, რომ კიდევ ერთი პრინციპული მეტოქე, „ატალანტა" დაამარცხოს. თუმცა „როსონერის" მეზობელ ბერგამოელებთან, როგორც წესი, უჭირთ ხოლმე — ბერგამოელები „სან სიროზე" ბოლო ხუთი სტუმრობიდან ოთხჯერ დაუმარცხებელნი დაბრუნდნენ შინ.

„მილანს" დისკვალიფიცირებული ანდრეა პირლო და მარკო ბორიელო, ხოლო ტრავმების გამო პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა, კახა კალაძე და სერჟინიო არ ეყოლება. „ატალანტას" კი ალბათ ორი წამყვანი ფორვარდის, რიკარდო ძამპანასა და ნიკოლა ვენტოლას გარეშე მოუწევს თამაში — მათი მინდორზე გასვლა ძალიან საეჭვოა.

„პალერმოს", რომელიც ქულებს ქულებზე კარგავს და კარგა ხანია, არ მოუგია, მორიგი რთული გამოცდა გენუაში ელის. სიცილიელებმა ასე თუ გააგრძელეს, მალე ოთხეულშიც დაკარგავენ ადგილს. „სამპდორია" კი უეფას თასის საგზურისთვის აგრძელებს ბრძოლას.

გენუელებს ჯანლუკა ბერტი, კრისტიან ტერლიცი, სერჯო ვოლპი, კრისტიან ძენონი და ფრანჩესკო ფლაკი არ ეყოლებათ. სიცილიელებს კი ამაურის, ეუჯენიო კორინის, ჩირო კაპუანოს, ანდრეა კარაჩოლოსა და კრისტიან ძაკარდოს გარეშე მოუწევთ თამაში.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ჩემპიონთა ლიგის ფინალი: რეალი — ხიმნასტიკი



## რაული: ზოგჯერ წასვლაზეც ვფიქრობ...

**მადრიდის „რეალის“ კაპიტანს რაულ გონსალეს ბლანკოს „პუნტო რადიო“ ესაუბრა. საუცხოო ფორმაში მყოფ სამეფო თეთრების მეშვიდე ნომერმა „რეალის“ ირგვლივ არსებულ სიტუაციაზე ვრცლად ილაპარაკა...**

**— „რეალი“ გამოცოცხლდა და პრიმერადივიზიონმაც დაძაბულობა შეიმატა. წლეულს საჩემპიონო შანსები გაქვთ?**

— ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ექვსი გუნდი იბრძვის. ახლა ვე-ლით, რომ მთელი ის არასტაბილურობა, რაც აქამდე გვაწვალებდა, გაქრება და დარჩენილ თორმეტ მატჩში ნამდვილი მადრიდის „რეალი“ ვიქნებით.

**— ხომ არ გგონიათ, რომ „რეალის“ ოპტიმიზმი გაზვიადებულია?**

— ერთადერთი, რაც ნამდვილად ვიცით, არის ის, რომ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. უახლოესი სამი მატჩი უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის — თუ 9 ქულას ავიღებთ, მეტოქეებს ჩვენი რიდი და პატივისცემა ექნებათ. აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რადგანაც, სამწუხაროდ, უკვე ნებისმიერი გუნდი ფიქრობს, „რეალს“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დავამარცხებთო.

**— ჩანს, „რეალმა“ სტრატეგია ოდნავ შეცვალა. ფაბიო კაპელოსთან თუ ისაუბრეთ ამის თაობაზე?**

— ვისაუბრეთ, მაგრამ სისტემა მწვრთნელის საქმეა და ჩვენ, ფეხბურთელები, ამაში მნიშვნელოვან მონაწილეობას არ ვიღებთ. კაპელომ გვითხრა, რომ სტრატეგიას მთელი გუნდი არჩევს, თუმცა მე მიმაჩნია, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება... არსებული სისტემით კმაყოფილი ვარ, „ბარსასთან“ კარგად ვითამაშეთ და საერთოდ, ამ გეზის დახვეწაა საჭირო.

**— ალბათ ახლა ის გჭირდებათ გულშემატკივართა თანადგომა, როგორც არასდროს...**

— მართალია. კვირას „ხიმნასტიკს“ ვეთამაშებით, მაგრამ ეს მატჩი ჩვენთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალის ტოლფასია. თუ კიდევ დავკარგეთ ქულები, „რეალის“ შანსები მიზერული გახდება.

**— შეგიძლიათ დარჩენილი 12 თამაშის მოგება?**

— რა თქმა უნდა. თუმცა ცუდი შედეგი არც 9-10 მატჩის მოგება იქნება.

**— უკვე მრავალი წელია, „რეალის“ კაპიტანი ხართ. არ დაიღალეთ?**

— კაცი მაშინ იღლება, როცა გრანდში თამაშობს და ჯილდოებს ვერ იგებს. მესმის, რომ გუნდებში ბევრი რამ იცვლება, მაგრამ ეს ცვლილებები გონივრულად უნდა განხორციელდეს და არა სპონტანურად.

**— „რეალიდან“ წასვლას აპირებთ?**

— არა. „რეალი“ ჩემი სახლია. შეიძლება ხანდახან ვიფიქრო წასვლაზე, მაგრამ ძნელი სიტუაციების დაძლევაში კლუბი მეხმარება — მეუბნებიან, რომ „რეალს“ ისევ ვჭირდები და ჩემთან განშორებას არავინ აპირებს.

**— ქომაგთაგან ზეწოლას გრძნობთ?**

— არანაირ ნეგატიურ ზეწოლას არ ვგრძნობ — ფანებთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

**— კრიშტიანუ რონალდუ მომავალი სეზონიდან მართლა ითამაშებს მადრიდის „რეალში“?**

— ეს შესაძლებელია. კრიშტიანუ დიდი ფეხბურთელია და უმაღლეს დონეზე თამაშობს. თან ახალგაზრდაა და მისი მადრიდში ჩამოსვლა წარმატებებს მოგვიტანს.

**— და კაკა?**

— შესანიშნავი ფეხბურთელია და „რეალში“ მის მოსვლასაც სიხარულით შევხვდები. თუმცა ამდენი. ახლის მოსვლა ხელ[illegible] არ ი[illegible] სატრანსფერო საქმეები უფროსობამ უნდა გადაწყვიტოს.

**— სამეფო გუნდში გალაქტიკური ეპოქა დასრულდა?**

— არც ვიცი, ეს ეპოქა როდის დაიწყო და საერთოდ ვამჯობინებ, ეს სიტყვა არასოდეს ვთქვა. თქვენ მიერ ნახსენები ეპოქის დროს მეტოქეები გაათმაგებული ძალებით გვებრძოდნენ, ყველას „რეალის“ დამარცხების შლეგური სურვილი ჰქონდა... ამ მეტსახელს კლუბისთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია — ხალხს უკვე ეგონა, ესენი თავს უკვდავებად თვლიან და მიწას ფეხს არ აკარებენო.

**— ოთხი წელია, არაფერი მოგიგიათ...**

— ვაღიარებ, რომ ძალიან ვღელავ, მაგრამ მოუგებელ ტიტულებზე ფიქრს მირჩევნია, საამსეზონო პრიმერაში გამარჯვებაზე ვიოცნებო. წლეულს ჩვენი ჩემპიონობა ძნელი იქნება და ეს თუ ვერ შევძელით, „რეალს“ კარდინალური ცვლილებები დასჭირდება.

**— ფიქრობთ, რომ ლუის არაგონესის ესპანეთის ნაკრებში დაბრუნდებით?**

— ეგ ჩემი სურვილიც არის და ოცნებაც. ლუისთან არანაირი პრობლემა არ მაქვს, მაგრამ იმ პოზიციაზე ვთამაშობ, სადაც სასარგებლო არ ვარ.

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბილბაო | : | ოსასუნა |
| მალიორკა | : | ბეტისი |
| უელვა | : | ბარსელონა |
| ვალენსია | : | რასინგი |
| ხვალ | | |
| დეპორტივო | : | ხეტაფე |
| რეალი | : | ხიმნასტიკი |
| სევილია | : | სელტა |
| ესპანიოლი | : | ლევანტე |
| ვილიარეალი | : | სოსიედადი |
| სარაგოსა | : | ატლეტიკო |

## ესპანეთი

## ის, რაც არა და არ მოსწონს კრუიფს

**უელვაში** იმედი აქვთ, რომ „ბარსელონას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი თავის გუნდს შაბათსაც სამი მცველით ათამაშებს — დღეს პრიმერადივიზიონის 27-ე ტურში ჩემპიონატის ლიდერი „უელვას“ სტუმრობს.

სამხრეთელები, მიუხედავად იმისა, რომ მრისხანე მეტოქეს ელიან, მხნედ არიან და სჯერათ, რომ „ბარსას“ უკანახაზელთა გახშირებულ შეცდომებს სათავისოდ გამოიყენებენ.

„უელვა“ სეგუნდადივიზიონიდან შარშან ამოვიდა, მაგრამ პრიმერას ალღო მალე აუღო და ამ სეზონში თავს არ ირცხვენს. ეს კი არა, ანდალუზიური გუნდი ცხრილის თავს ოდენ 9 ქულით ჩამორჩება.

რაიკარდი აქამდე 4-3-3 სქემას ენდობოდა, თუმც ბოლოხანს უპირატესობას 3-4-3-ს ანიჭებს.

კატალონიელებმა 26-ე ტურში „კამპ ნოუზე“ „რეალთან“ ოდენ ფრე (3:3) გაახერხეს და ჯადოსნური ლეო მესი რომ არა, საერთოდ წააგებდა. ალბათ ამიტომ უწოდა იოჰან კრუიფმა რაიკარდის ახალ სქემას „ქაოტური“ — დღეს დაცვა ალბათ ყველაზე სუსტი წერტილია გუნდში.

„მე „ლივერპულ“ — „ბარსელონას“ მატჩი ვნახე და დავრწმუნდი, რომ თუ „ბარსას“ პრესინგს შესთავაზებ და გასაქანს არ მისცემ, ეს კარგ შედეგს მოიტანს. „რეალმაც“ ზუსტად ასე ითამაშა ერთი კვირის წინ კატალონიელებთან“ — თქვა „უელვას“ ექსლივერპულელმა ფორვარდმა სინამა პონიოლმა.

და ერთიც: „ბარსას“ სტუმრად ჩატარებული ბოლო შვიდი მატჩიდან ერთიც არ მოუგია. თან, კატალონიელები „ნუევო კოლომბინოზე“ დისკვალიფიცირებულ მცველს, ოლეგერს ვერ დაიხმარენ.

სევილიაში კი ახლაც ევროპული ეიფორიაა — ხუანდე რამოსის გუნდმა უეფას თასზე დონეცკის „შახტართან“ ივაჟკაცა და მეოთხედფინალში გავიდა. თუმც ანდალუზიელებს არც შინაური პრიმერა ავიწყდებათ: ხვალ „რამონ სან სანჩეს პისხუანს“ ვიგოს „სელტა“ ესტუმრება და ხუანდეს შეგირდებს წარმატების მისაღწევად ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ, რადგან „სელტა“ სტუმრად საკმაოდ ძლიერად თამაშობს.

მესამეადგილოსანი „ვალენსია“ სანტანდერის „რასინგს“ მასპინძლობს. „ლამურებმა“ წინა ტურში „ოსასუნასთან“ ფრედ ითამაშეს, „რასინგმა“ კი ბოლო 9 თამაშიდან მხოლოდ ერთი წააგო.

„ლამურებს“ დისკვალიფიცირებული რობერტო აიალა არ ეყოლებათ.

მადრიდის „რეალი“ ჩემპიონატის ლიდერებს 5 ქულით ჩამორჩება. „სამეფო თეთრებს“ იმედი აქვთ, რომ წინა შაბათს „კამპ ნოუზე“ ჩატარებული შესანიშნავი თამაშის შემდეგ ბედს წალმა შემოაბრუნებენ და წლეულს დარჩენილ ერთადერთ ჯილდოს, პრიმერას ჩემპიონობას მოიპოვებენ.

თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სამეფო გუნდი „ბერნაბეუზე“ ძალიან არასტაბილურად თამაშობს, კასტილიელთა იმედებს საფუძველი შეერყევა.

„ხიმნასტიკს“ „ბერნაბეუზე“ ხავიერ პორტილიო არ ეყოლება — ექსმადრიდელ პორტილიოს „რეალთან“ არსებული საგანგებო ხელშეკრულების მიხედვით ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაში არ შეუძლია, მასპინძლებს კი დისკვალიფიკაციის გამო სერხიო რამოსი არ ეყოლებათ.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:1 | 1:1 | 3:3 | 3:1 | 1:1 | 3:0 | | | 2:0 | 4:0 | | 3:0 | | | 3:1 | | 3:0 | 3:0 | 1:0 | 26 | 14 | 8 | 4 | 53:25 | 50 | 10 | 3 | 0 | 33:8 | 33 | 4 | 5 | 4 | 20:17 | 17 |
| 2 | სევილია | 2:1 | | 3:0 | 2:1 | | 3:1 | | 1:0 | | | | 4:0 | 2:0 | 3:2 | 1:2 | | 4:0 | | 2:1 | 0:0 | 26 | 15 | 5 | 6 | 46:24 | 50 | 10 | 1 | 1 | 27:8 | 31 | 5 | 4 | 5 | 19:16 | 19 |
| 3 | ვალენსია | 2:1 | | | 0:1 | | 3:1 | | 2:0 | | | | 4:0 | 1:0 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 4:0 | | 26 | 14 | 5 | 7 | 37:24 | 47 | 10 | 1 | 1 | 26:6 | 31 | 4 | 4 | 6 | 11:18 | 16 |
| 4 | რეალი | 2:0 | | | | 1:0 | 1:1 | 0:3 | 1:1 | | 3:1 | 0:0 | | | 0:0 | | 1:2 | 0:1 | 2:1 | | 2:0 | 26 | 13 | 6 | 7 | 35:24 | 45 | 5 | 4 | 3 | 13:10 | 19 | 8 | 2 | 4 | 22:14 | 26 |
| 5 | სარაგოსა | | 2:1 | 0:1 | | | | 0:0 | 3:1 | 3:0 | | 1:0 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 2:0 | | 2:2 | | 3:0 | 3:2 | 26 | 12 | 7 | 7 | 39:27 | 43 | 8 | 3 | 2 | 23:11 | 27 | 4 | 4 | 5 | 16:16 | 16 |
| 6 | ატლეტიკო | | 2:1 | 0:1 | 1:1 | 0:1 | | 2:1 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 3:1 | 2:0 | 1:0 | | | | | 1:0 | 0:0 | 1:1 | 26 | 12 | 7 | 7 | 32:22 | 43 | 7 | 4 | 3 | 16:10 | 25 | 5 | 3 | 4 | 16:12 | 18 |
| 7 | უელვა | | 1:3 | 2:0 | | | 1:0 | | 1:2 | | | 2:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 1:1 | | 0:1 | | 2:1 | 1:0 | 26 | 12 | 5 | 9 | 35:31 | 41 | 7 | 2 | 3 | 16:10 | 23 | 5 | 3 | 6 | 19:21 | 18 |
| 8 | ხეტაფე | 1:1 | 0:0 | 3:0 | 1:0 | | | 1:1 | | 0:1 | 1:0 | | 2:0 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 0:0 | | | 26 | 10 | 8 | 8 | 23:18 | 38 | 7 | 6 | 1 | 14:4 | 27. | 3 | 2 | 7 | 9:14 | 11 |
| 9 | ესპანიოლი | 3:1 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 1:2 | | 0:1 | | | 2:2 | 1:1 | | 0:0 | | 3:1 | 2:1 | | 3:2 | 0:1 | | 26 | 9 | 10 | 7 | 28:27 | 37 | 5 | 4 | 4 | 18:15 | 19 | 4 | 6 | 3 | 10:12 | 18 |
| 10 | რასინგი | 0:3 | 0:0 | 1:0 | | 0:2 | 0:1 | 4:3 | 1:0 | 1:1 | | 2:1 | | 1:0 | | | 1:1 | | | 4:1 | 1:0 | 26 | 9 | 10 | 7 | 28:30 | 37 | 7 | 3 | 3 | 16:13 | 24 | 2 | 7 | 4 | 12:17 | 13 |
| 11 | ვილიარეალი | | 0:0 | 0:1 | 1:0 | 3:2 | | 0:1 | 1:0 | 0:0 | | | 0:2 | 1:4 | 3:2 | 2:1 | | 1:1 | | 2:0 | | 26 | 10 | 6 | 10 | 25:31 | 36 | 6 | 3 | 4 | 14:14 | 21 | 4 | 3 | 6 | 11:17 | 15 |
| 12 | დეპორტივო | 1:1 | | | 2:0 | 3:2 | 1:0 | | | 0:0 | 0:0 | 2:0 | | | 0:1 | 1:0 | 0:1 | 0:0 | 0:2 | | 2:0 | 26 | 8 | 9 | 9 | 19:28 | 33 | 6 | 4 | 3 | 12:7 | 22 | 2 | 5 | 6 | 7:21 | 11 |
| 13 | ოსასუნა | 0:0 | | 1:1 | 1:4 | | | | 0:2 | 0:2 | 0:1 | | 4:1 | | 5:1 | 3:0 | 0:1 | 2:1 | 1:1 | 2:0 | | 26 | 9 | 4 | 13 | 31:33 | 31 | 5 | 3 | 5 | 19:15 | 18 | 4 | 1 | 8 | 12:18 | 13 |
| 14 | ბეტისი | 1:1 | 0:0 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 0:1 | 0:0 | | 1:1 | 1:1 | | 1:1 | | | 0:1 | 1:0 | 2:1 | 3:0 | | | 26 | 7 | 10 | 9 | 25:29 | 31 | 4 | 7 | 3 | 13:10 | 19 | 3 | 3 | 6 | 12:19 | 12 |
| 15 | მალიორკა | 1:4 | | | 0:1 | 2:1 | 0:0 | 2:1 | | 1:0 | 1:2 | 1:2 | 0:0 | | | | 2:2 | 3:1 | 1:3 | | 0:0 | 26 | 8 | 5 | 13 | 26:39 | 29 | 4 | 4 | 5 | 14:17 | 16 | 4 | 1 | 8 | 12:22 | 13 |
| 16 | სელტა | 2:3 | 1:2 | 3:2 | | 1:1 | 1:3 | 1:2 | | 0:2 | 2:2 | 1:1 | | 0:2 | | | | | 1:1 | 1:1 | 0:0 | 26 | 6 | 9 | 11 | 27:36 | 27 | 1 | 6 | 6 | 14:22 | 9 | 5 | 3 | 5 | 13:14 | 18 |
| 17 | ლევანტე | 1:1 | 2:4 | | 1:4 | 0:0 | 0:3 | 2:1 | | 0:0 | 2:0 | 0:2 | 2:0 | | | 0:1 | 1:1 | | 0:0 | | 2:0 | 26 | 6 | 9 | 11 | 22:36 | 27 | 4 | 5 | 5 | 13:17 | 17 | 2 | 4 | 6 | 9:19 | 10 |
| 18 | ბილბაო | 1:3 | 1:3 | | | 0:0 | 1:4 | 4:2 | 2:0 | | 0:0 | 0:1 | | | 1:2 | | 0:1 | | | 0:2 | 1:1 | 26 | 6 | 8 | 12 | 27:37 | 26 | 2 | 3 | 7 | 11:19 | 9 | 4 | 5 | 5 | 16:18 | 17 |
| 19 | ხიმნასტიკი | | 1:0 | 1:1 | 1:3 | | | 1:3 | | 4:0 | 2:2 | | 0:2 | 2:3 | 0:1 | 2:3 | 1:2 | 2:1 | 2:3 | | | 26 | 5 | 5 | 16 | 28:48 | 20 | 3 | 3 | 7 | 19:22 | 12 | 2 | 2 | 9 | 9:26 | 8 |
| 20 | სოსიედადი | | 1:3 | 0:1 | 1:2 | 1:3 | | 2:3 | 0:0 | 1:1 | | 0:1 | 0:1 | 2:1 | 0:0 | 3:1 | | | 0:2 | 3:2 | | 26 | 3 | 8 | 15 | 18:35 | 17 | 3 | 3 | 8 | 14:21 | 12 | 0 | 5 | 7 | 4:14 | 5 |




# (G)OTTMAR HITZFELD! ბაიერნის ლომები ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე

## 50 მილიონი ევრო: ტონი-რობენი და ედუარდო-მოდრიჩი

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ ახალი კონტრაქტი გაუფორმა ოტმარ ჰიცფელდს და ახლა მორიგი ნაბიჯიც გადადგა — ახალი ფეხბურთელების შესაძენად 50 მილიონი ევრო გამოყო.

„ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰოენესი: „ოტმარ ჰიცფელდმა კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა. ახლა შეგვიძლია, მომავალი სეზონი ერთად დავგეგმოთ“.

კონტრაქტის გაფორმებით კმაყოფილი დარჩა ჰიცფელდიც: „აქ ბევრი რამ ვითარდება და ნამდვილად არ მინდა, ამ განვითარებას ჩამოვშორდე“.

Bild კი ამ ყველაფერს საინტერესო სათაურით გამოეხმაურა: (G)OTTMAR HITZFELD!

საზაფხულოდ „ბაიერნმა“ ეს ფეხბურთელები გადაიბირა: იან შლაუდრაფი (1,2 მილიონად „ალემანიადან“), ჰამიტ ალტინტოპი (თავისუფალი აგენტი „შალკედან“) და რობერტო სოსა (10 მილიონად არგენტინული „ესტუდიანტესიდან“) გადაიყვანა.

ახლა კი ჰიცფელდი 50 მილიონ ევროს მიიღებს, რათა კიდევ ერთხელ იმოგზაუროს ვარსკვლავებიან ცაზე.

„ბაიერნის“ შეფი კარლ-ჰაინც რუმენიგე: „გადავწყვიტეთ, რამდენიმე ტრანსფერი განვახორციელოთ, რათა გუნდის დონე კიდევ უფრო ავამაღლოთ. მზად ვართ, ამაში დიდი ინვესტიციებიც ჩავდოთ.“

მოკლედ, „ბაიერნი“ ტრადიციულ ხელმომჭირნეობას თავს ანებებს და სამომავლოდ სერიოზულ გაძლიერებაზე ფიქრობს. გერმანულმა პრესამ კი უკვე გამოჩხრიკა მიუნხენურ გრანდში გადასვლის მთავარი კანდიდატები: თავდამსხმელი ლუკა ტონი („ფიორენტინა“, ფასი — 25 მილიონი) და არიენ რობენი („ჩელსი“, 20 მილიონი).

ამასთან, მიუნხენელები აგრძელებენ დაკვირვებას თავდამსხმელ ედუარდოსა და ხორვატ ნახევარმცველ ნიკო მოდრიჩზე, რომელთა საერთო ფასი 6 მილიონი ევროა — ამათი ტრანსფერიც რეალური ჩანს.

**ნინო სილაგაძე**

# ლემანი ჰერტაში კერძო ინვესტორს მიჰყავს

**27 წლის** იენს ლემანი ბუნდესლიგაში ბრუნდება — გერმანიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ მეკარე ბერლინის „ჰერტაში“ გადადის.

ლემანმა ჯერ კიდევ სამი კვირის წინ გაუმხილა პოპულარულ BILD-ს, რომ გერმანიაში დაბრუნება სურდა, თუმცა მაშინ არც ერთი მისი მსურველი გუნდი არ დასახელებულა.

ახლა კი გაცხადდა: ვეტერან მეკარეს ბერლინში ელიან.

„ჰერტა“ 31 წლის კრისტიან ფიდლერით უკმაყოფილოა და ამიტომაც დაიწყო მოლაპარაკება „არსენალიდან“ წასვლის მოსურნე ლემანთან.

თუმცა აქ ერთი პრობლემა იყო: როგორ აპირებდა „ჰერტა“, რომელსაც 46,2 მილიონი ევრო ვალი აქვს, ლემანისთვის მაღალი ხელფასის მიცემას.

BILD-მა ესეც გამოიძია და აღმოჩნდა, რომ ლემანს კერძო სპონსორი დააფინანსებს — ასე რომ, კლუბს არაფრის გადახდა არ მოუწევს.

ეს გეგმა რეალობად მომავალ კვირაში უნდა იქცეს, მანამდე კი ყველა მხარე დუმილს ამჯობინებს...

**ნინო სილაგაძე**




## მოგზაურობა 60 ათასად

ცსკა-ს ბრაზილიელ ლეგიონერ დანიელ კარვალიუს 60 ათასი დოლარით დააჯარიმებენ, რადგან მოსკოვში დათქმულ დროს არ დაბრუნდა. კარვალიუ ბრაზილიაში გაუშვეს სამკურნალოდ და 14 მარტს უნდა ყოფილიყო რუსეთის დედაქალაქში. მან კი კლუბის მოთხოვნას წაუყრუა და გერმანიაში ჩაბრძანდა მკურნალობის გასაგრძელებლად. გაბრაზებულმა ვალერი გაზაევმა მისი 60 ათასი დოლარით დაჯარიმება მოითხოვა.

## არყის მატარებელი

**ლიტვური** „კაუნასის“ ბელარუსმა ფეხბურთელებმა, ოლეგ სტრახანოვიჩმა და ვიაჩესლავ გლებმა მინსკი-ვილნიუსის მატარებელში ილოთავეს. „სოვეტსკაია ბელორუსიას“ ცნობით, ორივე არყით გამომთვრალა და მგზავრები შეუწუხებიათ. ლიტვის საზღვარზე მესაზღვრეებმა დაშოშმინება სთხოვეს, მაგრამ ეს არ მოეწონა სტრახანოვიჩს, რომელიც მატარებლიდან „ჩამოხსნეს“, გლები კი დაწყნარდა.

სტრახანოვიჩი გამოსაფხიზლებელში წაიყვანეს და იქ დაადგინეს, რომ თურმე 400 გრამი არაყი დაულევია.

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| გუშინ | | |
| ჰერტა | : | კოტბუსი |
| *წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვ.) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის* | | |
| დღეს | | |
| ალემანია | : | არმინია |
| ვოლფსბურგი | : | ბოხუმი |
| აინტრახტი | : | ბაიერნი |
| ჰანოვერი | : | ჰამბურგი |
| დორტმუნდი | : | ნიურნბერგი |
| შალკე | : | შტუტგარტი |
| ხვალ | | |
| ლევერკუზენი | : | გლადბახი |
| ვერდერი | : | მაინცი |

# გერმანია

# მირკო სლომკასთვის შტუტგარტი ეშმაკია

**ბუნდესლიგის** ორი მოყანყალებული ლიდერი — „შალკე“ და შტუტგარტი“ — ერთმანეთს გელზენკირხენში დაეჯახება. „შალკეს“ ოთხი, „შტუტგარტს“ კი სამი ტურია, არ მოუგია და თამაშიც საინტერესო უნდა გამოვიდეს.

მასპინძლებს კვლავ არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული ბრაზილიელი ლინკოლნი. სამაგიეროდ, სლომკასთვის, რომელმაც ახლახან კონტრაქტი გაახანგრძლივა, კარგი ამბავი ისაა, რომ კრისტიან პანდერი, ჯერალდ ასამოა და გუსტავო ვარელა მომჯობინდნენ.

— „შტუტგარტელებმა“ ამას წინათ განაცხადეს, რომ ჩემპიონობა არ უნდათ და, მგონი, რაღაცას ეშმაკობენ — თქვა სლომკამ — პირველ წრეში 3:0 მოგვიგეს, მაგრამ მოტივაციისთვის ეს არ გვჭირდება. ჩვენ ისედაც არ გვაკლია მოტივაცია, რადგან ცხრილის თავში ვართ და ოთხი ტურია, არ მოგვიგია“.

უკვე ერთი კვირის ამბავია, რომ „შტუტგარტს“ მთავარმეგოლე მარიო გომესი დაუშავდა და სეზონის ბოლომდე ველარ დაეხმარება...

ასევე კონტრაქტგახანგრძლივებული ოტმარ ჰიცფელდი კი „ბაიერნს“ ფრანკფურტში ჩაიყვანს, სადაც იოლი გასეირნება არ ელის, რაკი „აინტრახტი“ ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის და ბოლო ორ მატჩში ცოტა გამოასწორა თამაში.

ოლივერ კანი ხუთშაბათს ვარჯიშზე დაშავდა, მაგრამ უკვე გამოკეთდა და დღეს კარში ჩადგება. საეჭვოა ლუსიოსა და კლაუდიო პიზაროს გამოჩენა — ორივეს ტრავმა აწუხებს.

„დორტმუნდი“ ახალი მთავარი მწვრთნელით, თომას დოლით დაუხვდება „ნიურნბერგს“. დოლმა იურგენ რიობერი შეცვალა და „შავ-ყვითლების“ უნდა უშველოს, რადგან ნელ-ნელა უფსკრულისკენ მიექანებიან.

„დორტმუნდმა“ ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთი წააგო და შავ დღეშია, „ნიურნბერგმა“ კი მეორე წრე ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ ახლა უკლო — უკვე სამი ტურია, არ მოუგია.

ახალი თავკაცი ჰყავს ბილეფელდის „არმინიასაც“ — ერნსტ მიდენტროპმა ფრანკ გოედეკესგან ჩაიბარა გუნდი, რომელმაც ბოლო ექვს შეხვედრაში მხოლოდ სამი ქულა აიღო და შედეგად, ქვედა სამეულში აღმოჩნდა. „არმინია“ კარგ ფორმაში მყოფ „ალემანიას“ ესტუმრება.

უეფას თასის მეოთხედფინალისტი „ვერდერი“ ხვალ „მაინცს“ დაუხვდება და, შესაძლოა, ფრანკ ბაუმანმა და მიროსლავ კლოზემ ვერ ითამაშონ, რადგან ტრავმები აწუხებთ. ბრემენელები „მაინცს“ აარონ ჰუნტით და უგო ალმეიდათი შეუტევენ.

ბოლოს კი გავიხსენოთ, რომ „მუსიკოსებმა“ მაინცელებს პირველ წრეში 6:1 მოუგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალკე | | 2:0 | | 2:2 | | 0:1 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 4:0 | 2:0 | 0:2 | 3:1 | | 2:1 | 1:1 | | |
| 2 | ვერდერი | 0:2 | | 2:3 | 3:1 | | 2:1 | 3:0 | 3:1 | | | 2:1 | 0:2 | 1:3 | 1:1 | 3:0 | | 3:0 | 3:0 |
| 3 | შტუტგარტი | 3:0 | 4:1 | | | 0:3 | 3:0 | | 0:0 | | | 0:0 | 2:0 | 1:3 | | 1:0 | 1:1 | 3:2 | 1:0 |
| 4 | ბაიერნი | | 1:1 | 2:1 | | 0:0 | | 0:1 | 4:2 | 2:1 | | 2:1 | | 2:0 | 2:1 | 0:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 |
| 5 | ნიურნბერგი | 0:0 | 1:2 | 4:1 | 3:0 | | 3:2 | 3:1 | | | 1:1 | | | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 1:0 |
| 6 | ლევერკუზენი | 3:1 | 0:2 | 3:2 | 2:3 | | | 0:1 | 2:1 | 3:0 | 1:1 | 1:1 | 1:2 | | 3:1 | | 2:2 | | |
| 7 | ჰანოვერი | 1:1 | 2:4 | 1:2 | | | 1:1 | | 5:0 | 0:3 | 1:0 | 2:2 | | 4:2 | | 0:2 | 1:1 | 1:1 | |
| 8 | ჰერტა | 2:0 | | 2:2 | 2:3 | 2:1 | | 4:0 | | 2:1 | 1:2 | 2:1 | 2:1 | | | 3:3 | 1:0 | | 2:1 |
| 9 | ალემანია | 0:1 | 2:2 | 2:4 | 1:0 | 1:1 | 2:3 | 1:4 | | | 2:1 | | 3:3 | | 1:2 | 2:1 | 2:3 | | 4:2 |
| 10 | მაინცი | | 1:6 | 0:0 | 0:4 | 2:1 | | | 1:1 | 1:3 | | 1:2 | 0:0 | 1:0 | 4:1 | 2:1 | 1:1 | 1:0 | |
| 11 | ვოლფსბურგი | 2:2 | | 1:1 | 1:0 | 1:1 | 3:2 | 1:2 | 0:0 | 1:2 | | | 1:0 | | 0:0 | | 2:2 | | 1:0 |
| 12 | ჰამბურგი | 1:2 | 1:1 | | 1:2 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 1:1 | | | | | 3:0 | 1:1 | | 3:1 | 1:1 | 1:1 |
| 13 | დორტმუნდი | | | 0:1 | 3:2 | | 1:2 | 2:2 | 1:2 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 1:0 | | 2:3 | 1:1 | | 1:1 | 1:0 |
| 14 | კოტბუსი | 2:4 | - | 0:0 | | 1:1 | | 0:1 | 2:0 | 0:2 | 2:0 | | 2:2 | 2:3 | | 0:0 | 0:1 | 2:1 | 3:1 |
| 15 | ბოხუმი | | 0:6 | | 1:2 | 0:2 | 1:3 | | | 2:2 | 0:1 | 0:1 | 2:1 | 2:0 | 0:1 | | 4:3 | 2:1 | 2:0 |
| 16 | აინტრახტი | 1:3 | 2:6 | 0:4 | | 2:2 | 3:1 | 2:0 | | | 0:0 | 0:0 | 2:2 | 1:1 | | | | 0:3 | 1:0 |
| 17 | არმინია | 0:1 | | 2:3 | 2:1 | 3:2 | 0:0 | | 2:2 | 5:1 | 1:0 | 0:0 | 1:1 | | 3:1 | 1:3 | | | 0:2 |
| 18 | მიონხენგლადბახი | 0:2 | 2:2 | | | 0:0 | 0:2 | 0:1 | 3:1 | 0:0 | 1:1 | 3:1 | | 1:0 | 2:0 | | | 1:0 | |

| № | | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალკე | 25 | 15 | 5 | 5 | 41:25 | 50 | 8 | 2 | 2 | 22:10 | 26 | 7 | 3 | 3 | 19:15 | 24 |
| 2 | ვერდერი | 25 | 14 | 5 | 6 | 59:33 | 47 | 8 | 1 | 4 | 26:15 | 25 | 6 | 4 | 2 | 33:18 | 22 |
| 3 | შტუტგარტი | 25 | 13 | 7 | 5 | 43:29 | 46 | 7 | 3 | 2 | 19:10 | 24 | 6 | 4 | 3 | 24:19 | 22 |
| 4 | ბაიერნი | 25 | 13 | 5 | 7 | 39:30 | 44 | 8 | 4 | 1 | 19:9 | 28 | 5 | 1 | 6 | 20:21 | 16 |
| 5 | ნიურნბერგი | 25 | 8 | 13 | 4 | 36:24 | 37 | 6 | 6 | 1 | 22:12 | 24 | 2 | 7 | 3 | 14:12 | 13 |
| 6 | ლევერკუზენი | 25 | 10 | 6 | 9 | 39:36 | 36 | 5 | 3 | 4 | 21:17 | 18 | 5 | 3 | 5 | 18:19 | 18 |
| 7 | ჰანოვერი | 25 | 9 | 7 | 9 | 33:37 | 34 | 3 | 5 | 4 | 19:19 | 14 | 6 | 2 | 5 | 14:18 | 20 |
| 8 | ჰერტა | 25 | 9 | 7 | 9 | 36:41 | 34 | 8 | 2 | 2 | 25:15 | 26 | 1 | 5 | 7 | 11:26 | 8 |
| 9 | ალემანია | 25 | 8 | 6 | 11 | 39:45 | 30 | 4 | 3 | 6 | 23:27 | 15 | 4 | 3 | 5 | 16:18 | 15 |
| 10 | მაინცი | 25 | 7 | 9 | 9 | 23:35 | 30 | 5 | 4 | 4 | 15:20 | 19 | 2 | 5 | 5 | 8:15 | 11 |
| 11 | ვოლფსბურგი | 25 | 6 | 11 | 8 | 24:28 | 29 | 4 | 6 | 2 | 14:12 | 18 | 2 | 5 | 6 | 10:16 | 11 |
| 12 | ჰამბურგი | 25 | 5 | 13 | 7 | 29:27 | 28 | 2 | 8 | 2 | 13:10 | 14 | 3 | 5 | 5 | 16:17 | 14 |
| 13 | დორტმუნდი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:37 | 28 | 4 | 5 | 4 | 15:15 | 17 | 3 | 2 | 7 | 14:22 | 11 |
| 14 | კოტბუსი | 25 | 7 | 7 | 11 | 28:36 | 28 | 4 | 4 | 5 | 16:16 | 16 | 3 | 3 | 6 | 12:20 | 12 |
| 15 | ბოხუმი | 25 | 7 | 6 | 12 | 29:39 | 27 | 5 | 1 | 7 | 16:23 | 16 | 2 | 5 | 5 | 13:16 | 11 |
| 16 | აინტრახტი | 25 | 5 | 12 | 8 | 32:44 | 27 | 3 | 5 | 4 | 14:22 | 14 | 2 | 7 | 4 | 18:22 | 13 |
| 17 | არმინია | 25 | 6 | 8 | 11 | 31:34 | 26 | 5 | 4 | 4 | 20:17 | 19 | 1 | 4 | 7 | 11:17 | 7 |
| 18 | მიონხენგლადბახი | 25 | 6 | 6 | 13 | 21:31 | 24 | 5 | 4 | 3 | 13:10 | 19 | 1 | 2 | 10 | 8:21 | 5 |

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 16:45 | 5 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.35 | 4.30 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.90 |
| 19:00 | 6 | მიდლსბრო-სიტი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 19:00 | 7 | რედინგი-პორტსმუთი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 19:00 | 8 | ტოტენჰემი-უოტფორდი | 1.35 | 4.10 | 10.00 | 1.01 | 1.18 | 2.90 |
| 19:00 | 9 | უიგანი-ფულემი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 19:00 | 11 | ჩელსი-შეფილდი | 1.17 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.08 | 4.28 |
| 21:15 | 12 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 10 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 17:35 | 13 | ასტონ ვილა-ლივერპული | 4.00 | 3.20 | 1.95 | 1.77 | 1.31 | 1.21 |
| 17:35 | 14 | ასტონ ვილა-ლივერპული 1:0 | 1.75 | 3.40 | 3.40 | | | |
| 20:00 | 15 | ევერტონი-არსენალი | 3.30 | 3.10 | 2.20 | 1.59 | 1.31 | 1.28 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 29 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 19:00 | 30 | ქოვენტრი-ბარნსლი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 31 | დერბი-კარდიფი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 19:00 | 32 | ლესტერი-ქპრ | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 33 | ლუტონი-იფსვიჩი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 34 | ნორვიჩი-სტოკი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 19:00 | 35 | პლიმუთი-კრისტალ პალასი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 36 | საუთენდი-ლიდსი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 37 | სანდერლენდი-ჰალი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 17:00 | 489 | პრესტონი-ბარნსლი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 15:30 | 38 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 42 | იოვილი-ბლეკპული | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 43 | ბორნმუთი-მილუოლი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 19:00 | 44 | ბრედფორდი-ნორთჰემპტონი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 45 | ბრენტფორდი-როტერჰემი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 46 | ბრაიტონი-სკანთორპი | 2.95 | 3.20 | 2.20 | 1.53 | 1.26 | 1.30 |
| 19:00 | 47 | კარლაილი-ჰადერსფილდი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 48 | ქრიუ-ბრისტოლი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 49 | დონკასტერი-ჩელტენემი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 19:00 | 50 | ლეიტონი-ოლდემი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 51 | ნოტინგემი-ჯილინგემი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 52 | პორტ ვეილი-ტრანმერი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 56 | სტოკპორტი-ჰარტლპული | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 57 | უიკომბი-უოლსოლი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 58 | დარლინგტონი-ჰერეფორდი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 19:00 | 59 | გრიმსბი-სუინდონი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
